# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 28 ოქტომბერი 2008 №249 (3473) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქართული ლეგიონი

სანდრო გურული: უკრაინის ტურის სიმბოლური ქართველი

6



## არჩევნები ვერ გადაიდო

საკითხი მიუსვლელობით მოგვარდა

13



## ნაკრებს და ლეგიონს ურჯუკაშვილი დაუბრუნდა

14

# როგორ არ უნდა დავხვედროდით დიეგო მარადონას

## ამასაც ნიჭი უნდა: ჩამოიყვანო დიეგო და... ხალხი სტადიონზე ვერ მიიყვანო




# სანამ ლიდერი ისვენებს...

## ბოლნისი და ჩემპიონი: ეს ყოველთვის საინტერესოა



# საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 8 ტური



ბოლო „სიონი" — „დინამო"
და მათე ვაწაძის გოლი

# სანამ ლიდერი ისვენებს...
## ბოლნისი და ჩემპიონი: ეს ყოველთვის საინტერესოა!

ვერც „სიონი" და ვერც „დინამო" მოგების შემთხვევაში ცხრილის სამეულშიც ვერ შევლენ, მაგრამ მათი შერკინება ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ამ ტურში. ჯერ ერთი, დინამოელთა სტუმრობას ბოლნისში ყოველთვის სხვანაირად ხვდებიან, სხვა შემართება იცის ხოლმე „სიონმა"; მეორეც, ორივე გუნდს 9-9 ქულა აქვს და მარაგის გამდიდრება ცხოვლად სურთ; მესამეც, არ არის გამორიცხული, რომელიმე გუნდის თავკაცის სკამი წაგების შემთხვევაში მძლავრად შეირყეს — თუ საერთოდ, მოხსნად არ დაუჯდა...

ქვემოქართლელებს კვლავაც ბესიკ უგულავა უხელმძღვანელებს, რაკიღა „სიონის" მწვრთნელებს, ოთარ კორღალიძესა და გიორგი ყიფშიძეს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება არ აქვთ. გეხსომებათ, ეს ყველაფერი „გაგრასთან" გასვლითი მატჩის შემდეგ მომხდარის გამო.

საინტერესოა, რომ ბოლნისელებს ამ სეზონში „თამაზ სტეფანიაზე" ჯერ არ მოუგიათ, „დინამომ" კი ოთხი გასვლითი შეხვედრიდან სამჯერ წააგო და ერთხელ იმარჯვა.

ისიც გავიხსენოთ, რომ ამ გუნდების ბოლო ბოლნისური შეხლა „დინამომ" მათე ვაწაძის ბოლო წუთებზე გატანილით მოიგო და როგორც ხშირად ხდება, მაშინაც ხმაურიანი პროტესტი გამოითქვა, თბილისელებს მსაჯი წაეხმარაო.

ჰო, „დინამო" დასვენებული ხვდება ამ მატჩს და კაცმა რომ თქვას, არც „სიონს" დაუწყვეტია წინა ტურში ნერვები — პირიქით, მშვენიერ განწყობაზეა, რაკიღა გორში „სპარტაკს" 3:0 გადაურბინა.

პროგნოზი კი, ბანალურად გამოგვდის, მაგრამ ასეთია: დაძაბული თამაში იქნება.

დღესვე „ზესტაფონი" „ბორჯომს" ესტუმრება. სულ უფრო ხშირად ისმის, თორელთა ქალაქში ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაში ჭირსო და რაკი ასეა, მასპინძლები მაქსიმალურად ჩაეჭიდებიან ამ უპირატესობას. „ბორჯომი" რომ ჯაბანი არაა, წინა ტურში დაამტკიცა, როცა „ოლიმპს" ქულა აართვა რუსთავში. თითქოს სუსტი შემადგენლობა, თითქოს არგავარდნაზე მოფიქრალი გუნდი, მაგრამ თამაშობს გუნდი და რა გინდა, თქვა...

არ მოვიდა დრო, „ზესტაფონმა" თავდასხმაში გაშალოს ფრთები? ექვს მატჩში ფეროელებმა ოდენ ოთხი გოლი შეაგდეს — ერთ თამაშში ერთზე მეტი ჯერ არ გაუტანიათ. ძალიან ცოტაა.

სტუმრებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი უჩა ლობჟანიძე არ ეყოლებათ და შეიძლება, თემურ მახარაძემ ალექსი ბენაშვილი დაწიოს დაცვაში.

ოთხშაბათს სამი მატჩია და პოტენციური ლიდერით დავიწყოთ: „ლოკომოტივი" „სპარტაკს" სტუმრობს და, სავარაუდოდ, სამ ქულას აიღებს. ცხინვალელებმა ორი ტურის წინ „გაგრას" კი სძლიეს, მაგრამ მერე „სიონთან" შერცხვნენ და იმ თამაშის შემხედვარე, ძნელად, რომ რატი ალექსიძესა და კომპანიას ტოლ-სწორად დაუდგნენ. არა მარტო ალექსიძე, „ლოკომოტივს" მის გარდაც ჰყავს ფეხბურთელები, რომლებსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ...

„მგლები" — „მესხეთი": ზუგდიდში თამაში სტუმრებისთვის იოლი საქმე ვერაა, თუმცა „მესხეთი" ის გუნდია, რომელმაც ზესტაფონში მოიგო და სულაც არ გვგონია, რომ „მგლებს" თავს დააგლეჯინებს. ეგაა, მესხებს ისედაც ცუდად აქვთ საქმე თავდასხმაში და ახლა, მით უმეტეს, როცა ბორის გონჩაროვი აკლიათ...

საინტერესო მატჩი გველის გლდანში, სადაც მოგებამშიერი „ოლიმპი" „გაგრას" ესტუმრება. უცნაურია, ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხული რუსთაველები ქულებს ძლივს აგროვებენ და ბოლოდან მეორე ადგილზე არიან. აშკარაა, „ოლიმპმა" თამაში ვერ იპოვა, მარტო სახელები კი ვერ მოიგებენ.

„გაგრას" მოთამაშეებს ოლიმპელთა ნახევარი გამოცდილებაც არ აქვთ, მაგრამ რამდენიმე კარგი მატჩი ჩაატარეს და ბოლო ტურებში თუ ცხრილში დაბლა დაეშვნენ, ძალიან ნუ გაგვიკვირდება — ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი ჯერ მოუმწიფებელია, ახალგაზრდებს სტაბილურობა აკლიათ...

და „ვიტ ჯორჯია"? ლიდერი ისვენებს — 1 ნოემბერს ნესტორ მუმლაძის გუნდი „დინამოს" ხვდება და აი, მატჩიც ის იქნება...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 9:2 | 15 |
| მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 12 |
| ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:3 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:7 | 9 |
| სიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 9 |
| ბორჯომი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 |
| გაგრა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| მესხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| ოლიმპი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:7 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |

**დისკვალიფიცირებულნი:**
„დინამო" — ლევან ხმალაძე;
„ზესტაფონი" — უჩა ლობჟანიძე;
„სიონი" — მთავარი მწვრთნელი ოთარ კოღალიძე და მწვრთნელი გიორგი ყიფშიძე;
„მესხეთი" — ბორის გონჩაროვი;
„ვიტ ჯორჯია" — გიორგი მელქაძე

ბოლნისი. 28 ოქტომბერი. 15 საათი. თ. სტეფანია

**სიონი — დინამო**

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე, დ. ხარიტონაშვილი

ბორჯომი. 28 ოქტომბერი. 15 საათი. ჟ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ზესტაფონი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ქუხილავა, ზვ. ერქვანია, ა. კრიჭაშვილი

გორი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ქართლი

**სპარტაკი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ზვ. გურგენიძე, მ. ელიკაშვილი, თ. გვანცელაძე

ზუგდიდი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები — მესხეთი**

მსაჯები: ლ. სილაგავა, კ. გაბრიაძე, ზ. ჯვარიძე, გ. დოგრაშვილი

თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ამერი

**გაგრა — ოლიმპი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, ლ. კვარაცხელია

**საფრანგეთი**
მეორე დივიზიონი
აიაჩო 1:1 სტრასბური

**პორტუგალია**
სუპერლიგა
ბრაგა 5:0 ამადორა

**დანია**
სუპერლიგა
ესბიერგი 0:0 სონდერიისკე

**ირლანდია**
პირველი დივიზიონი
ლონგფორდი 1:2 შელბურნი

**რუსეთი**
პრემიერლიგა
დინამო 1:3 ცსკა

**შვედეთი**
ალსვენსკა
აიკ 2:1 იორებრო
სუნდსვალი 2:1 ნორჩიოპინგი
ლიუნგსკილე — მალმიო გადაიდო

**შვეიცარია**
ჩელენჯლიგა
ვინტერთური 0:0 ვილი

**თურქეთი**
II დივიზიონი
სამსუნი 0:1 რიზე

**ჩეხეთი**
გამბრინუსლიგა
ბოლესლავი 0:0 სლავია

**რუმინეთი**
I ლიგა
ოტოპენი 1:2 რაპიდი

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 7 ტური

# მეშვიდე ტურმა სიმშვიდე მოიტანა

**საქართველოს** ჩემპიონატის მე-7 ტური პარასკევ-შაბათზე იყო გადანაწილებული და ყოვლად უშფოთველად ჩატარდა: მომგებმა მოიგო, აყალ-მაყალი არ ყოფილა, ჩემპიონი „დინამო" კი ისვენებდა.

...წინა ტურში ბოლნისის „სიონმა" იუქმა და სანაკრებო ამბებით გამოწვეული პაუზის გამო თითქმის სამი კვირა არ უთამაშია. ამგვარი დასვენება კი, დახეთ, როგორ დაეტყოთ ქვემოქართლელებს: „სიონი" პარასკევს გორში ესტუმრა „სპარტაკს" და რაც აქამდე გამართულ ხუთ მატჩში ერთად ვერ მოეხერხებინა, ახლა გააკეთა — ბოლნისელებმა მასპინძლებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და სატურნირო ცხრილის შუაში აინაცვლეს.

„სიონს" ჩვენი საზომებით ერთობ ძლიერი თავდამსხმელები ჰყავს, მაგრამ, რატომღაც წინა მატჩებში გუნდმა სულ ორი გოლის გატანა შეძლო, პარასკევს კი გოლდამშეულებმა ერთბაშად იყოჩაღეს და ერთი კვირის მწვრთნელშეცვლილ „სპარტაკს" სამჯერ გაუტანეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ სამი გოლიდან ამპლუით თავდამსხმელს არც ერთი გაუტანია და სამივე ნახევარმცველთა ანგარიშზეა.

პარასკევსვე რუსთავში „ოლიმპმა" „ბორჯომი" მიიღო და ისევ არაფერი გამოუვიდა. კი, მართალია, „ოლიმპმა" ქულა მიითვალა, მაგრამ იმ სიტუაციისა და ამბიციის გათვალისწინებით, რაც რუსთავში სეზონის დასაწყისში იყო, „ბორჯომთან" ფრე მასპინძელთათვის კარგ შედეგად ნაღდად ვერ ჩაითვლება. თანაც, ერთი კვირის წინ ზუგდიდში მარცხის შემდეგ „ოლიმპი" მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა დატოვა და მისი ადგილი ჭიპმოჭრილმა რუსთაველმა ვარლამ კილასონიამ დაიკავა.

ჩვენმა კორესპონდენტმა ასეთი კითხვა დასვა: რატომ ვერ იგებს „ოლიმპი"? ამ კითხვაზე პასუხი კი არც ჩვენ გვაქვს და ვეჭვობთ, ეს თავად რუსთაველებმაც იცოდნენ... ფაქტი ასეთია, რომ „ოლიმპს" ჯერ თამაში არ მოუგია.

„ბორჯომთან" მასპინძლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ და სტუმრებს სულ ერთხელ დაარტყმევინეს, მაგრამ მაინც ფრეს დასჯერდნენ. ბორჯომელთა ის ერთი დარტყმული მიზანში მოხვდა, ხოლო მისი ანაზღაურება ოლიმპელმა გიორგი გაბიდაურმა შეძლო. გაბიდაური კოკა მიქუჩაძესთან ერთად ვარლამ კილასონიამ შეცვლაზე ათამაშა. მოკლედ, რუსთაველთა ძველ-ახალმა მწვრთნელმა შეცვლა გამოიცნო... თუმცა გუნდს მაინც ვერ მოაგებინა.

კარგი, თვალსასეირო მატჩი იყო ზესტაფონში. „ზესტაფონმა" შინ თუ სტუმრად ზედიზედ სამი მატჩის მომგები ზუგდიდის „მგლები" მიიღო. „მგლების" ფეხბურთელებს ეგებ ოსტატობა არ ჰყოფნით, თორემ თავდაუზოგავად იბრძვიან და ქულებიც აქედან მოდისო — თქვა რამდენიმე დღის წინ „მგლების" მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ.

ამჯერად კი მეგრელებს ვერც ვერაფერმა უშველა და იმერეთში პირწმინდად წააგეს. „ზესტაფონს" მგლური ბარიერების მიუხედავად, ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ სულ ერთხელ იხეირა — ნიკა გელაშვილმა ზედიზედ მეორე მატჩში გამოიჩინა თავი.

წაგების მიუხედავად კი, „მგლების" მწვრთნელი შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა, რაც შეეძლოთ, გააკეთესო. ამ მარცხის შემდეგ „მგლებმა" მეორე ადგილი „ლოკომოტივს" დაუთმო, რომელმაც, თავის მხრივ, სეზონის რიხით დამწყები „გაგრა" დაამარცხა. ამ შეხვედრაში რატი ალექსიძეს არ გაუტანია, ირაკლი სამხარაძემ კი დუბლი გააკეთა. სამხარაძემ გუნდი ჯერ მატჩის დასაწყისში დააწინაურა, ბოლოსკენ კი საბოლოოდ მოუმთავრა ხელი — 2:0.

მოიგო „ლოკომოტივმა" და ლიდერ „ვიტ ჯორჯიას" ისევ ზურგში ამოუდგა.

ლიდერი კი ბორჯომს ესტუმრა და ახალციხის „მესხეთს" იქ გაეჯიბრა.

გეხსომებათ, წინა ტურში „მესხეთს" ბორჯომში თბილისის „დინამოც" შეხვდა და მაშინ დიდი ამბები მოხდა... მსაჯობაზე განაწყენებულმა ქომაგებმა ზედ „დინამოც" მიაყოლეს და იყო ერთი რია-რია. მერე „მესხეთმა" ღია წერილიც დაწერა, ცუდი რაც ხდება, პირველყოვლისა, მსაჯების გამოო. პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა კი მაშინდელი უმსგავსობისთვის „მესხეთი" ფულადი ჯარიმით დასაჯა.

შაბათს „ჯემალ ზეინკლიშვილზე" სიმშვიდე იყო, „ვიტ ჯორჯიამაც" ლიდერის შესაფერისად ითამაშა. ახალციხელების გამოცდილი ფორვარდი ბორის გონჩაროვი არბიტმა გააძევა, მაგრამ სტუმართა უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, ვეჭვობთ, მესხებს რამე სახეირო სრული შემადგენლობითაც მოეხერხებინათ.

ახლა უკვე უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უნდა ვითამაშოთო — თქვა ახალციხელთა მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა მატჩის შემდეგ.

აი, ასე იყო ამ ორიოდ დღის წინ და დღეს ისევ უმაღლესი ლიგის მორიგი ტური იწყება. ლიდერი „ვიტ ჯორჯია" ისვენებს, ჩემპიონი „დინამო" კი ბოლნისს ესტუმრება და მაგარი თამაში უნდა იყოს...

**კობა ინასარიძე**

ლოკომოტივი 2:0 გაგრა
ოლიმპი 1:1 ბორჯომი
ზესტაფონი 1:0 მგლები
მესხეთი 0:1 ვიტ ჯორჯია
სპარტაკი 0:3 სიონი
*დინამო ისვენებდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | 9:2 | 15 |
| მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 12 |
| ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:3 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:7 | 9 |
| სიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 9 |
| ბორჯომი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 |
| გაგრა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| მესხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| ოლიმპი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:7 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |

**მერვე ტური**

28 ოქტომბერი. სამშაბათი
სიონი – დინამო
ბორჯომი – ზესტაფონი
29 ოქტომბერი. ოთხშაბათი
სპარტაკი – ლოკომოტივი
მგლები – მესხეთი
გაგრა – ოლიმპი
*ვიტ ჯორჯია ისვენებს*

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 5 | ალექსიძე | ლოკომოტივი |
| | გ. თოდუა | მგლები |
| 4 | ვაწაძე | დინამო |
| 3 | ლომაია | მგლები |
| | ქიქნაძე | ბორჯომი |

**სიმბოლური ნაკრები**

ნიკა გელაშვილი — ზესტაფონი
ალექსანდრე კოშკაძე — სიონი
ირაკლი სამხარაძე — ლოკომოტივი
როინ ონიანი — ზესტაფონი
ალექსი ბენაშვილი — ზესტაფონი
ლევან ცქიტიშვილი — ლოკომოტივი
ლაშა ვაშაკიძე — ბორჯომი
ზაზა ჭელიძე — სიონი
ზაზა ლაცაბიძე — ბორჯომი
გიგა ბეჟვაია — ვიტ ჯორჯია
ზურაბ მამალაძე — მგლები



ჩემპიონატის ბომბარდირმა რატი ალექსიძემ (შუაში) ამჯერად ვერ გაიტანა

# როგორ არ უნდა დავხვედროდით მარადონას, ანუ სახელმძღვანელო შოუ-მატჩების ორგანიზატორებს

## ამასაც ნიჭი უნდა: ჩამოიყვანო დიეგო და... ხალხი სტადიონზე ვერ მიიყვანო

**კოტე კეკელია**



წარმოდგენა არ გვაქვს, იმას, რაც დიეგო მარადონას სტუმრობისას მოხდა, უცნაურობა დავარქვათ თუ სხვა, უფრო მძაფრი სახელი.
რაც მოხდა, ის, ვთქვათ, ნეაპოლში რომ მომხდარიყო, უცნაურობას დავარქმევდით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედების ადგილი თბილისი იყო...
მოხდა ის, რომ დიეგო მარადონას, კლაუდიო კანიჯას, სერხიო გოიკოეჩეას და მათი მეგობრების სანახავად ხალხი სტადიონზე არ მოვიდა.
რამდენი იყო? ოთხი ათასი? ამდენი მაყურებელი თითქმის ყოველ ტურში დადის ზესტაფონისა და ზუგდიდის სტადიონებზე საქართველოს ჩემპიონატის მატჩების სანახავად. ან სად წავიდნენ მარადონას თაობის გულშემატკივრები, ამ ოციოდე წლის წინ ფეხბურთის ბილეთისთვის რომ რას აღარ აკეთებდნენ?!
ან აგერ, ახლახან არ იყო შოთა არველაძის გაცილების მატჩი 40 თუ 45 ათასი მაყურებლით? თუ მაშინ ლაუდრუპები და დე ბურები ჩამოვიდნენ, ახლა ხომ თვით მარადონა იყო...
მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ არ გვგონია, მარადონას სანახავად სტადიონზე წასვლის მსურველი ხალხი ერთიანად გადაშენებულიყო. მიზეზი, ალბათ, სხვაგან უნდა ვეძებოთ. ამ „სხვაგან“-ს კი ორგანიზაციულ საკითხებამდე მივყავართ.
დავიწყოთ იმით, რომ რეკლამა ყველაფერს და ყველას სჭირდება — თვით დიეგო მარადონასაც კი. სჭირდება ჩამოსვლამდე კარგა ხნით ადრე!
რეალობა კი ასეთი გახლდათ: მარადონას თვითმფრინავის თბილისის აეროპორტში დაფრენამდე ნახევარი საათით ადრე აეროპორტში მისული ჟურნალისტები, საფეხბურთო ჩინოსნები თუ გულშემატკივრები არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ მარადონა მართლა ჩამოდიოდა.
ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ დიეგოს ჩამომყვანებმა ამაში ბოლომდე ვერ დაგვარწმუნეს და თუ რატომ, ეს ცალკე ამბავია.
შესაბამისად, არ იყო ის აჟიოტაჟი, რაც დიეგოს ჩამოსვლისას უნდა ყოფილიყო, მის ჩამოსვლამდე კვირები, დღეები და საათები უნდა გვეთვალა და აეროპორტში გულშემატკივართა არმია უნდა მიგვეყვანა. საერთოდაც, საფეხბურთო ანაბანაა: მატჩი მსაჯის სასტვენამდე კარგა ხნით ადრე იწყება. თუ ჩემპიონატის რიგითი ტურის მატჩია, წინა ტურის მატჩის დასრულებისთანავე; თუ საერთაშორისო მატჩია, კვირებით ადრე. მარადონას შოუ-მატჩამდე მზადებაც, სულ მცირე, ერთი თვით ადრე უნდა დაწყებულიყო.
ჩამოსვლისწინა აჟიოტაჟზე, უფრო სწორად, მის არარსებობაზე ვთქვით. ახლა იმის გახსენებას გთხოვთ, რამდენი სარეკლამო ბანერი იდგა მატჩისას ეროვნულ სტადიონზე, თუ ვერ გაიხსენებთ, გეტყვით: ორი, ამათგან ერთი, თავად ეროვნული სტადიონისა იყო...
ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. მსოფლიო პრაქტიკა მკაფიოდ და გასაგებად გვეუბნება, რომ ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ მთლიანი შემოსავლისა, მატჩების ორგანიზატორები რომ ელიან. ეს არის უკვე ნახსენები ბანერები, ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვა, სუვენირებით ვაჭრობა, სტადიონის ტერიტორიაზე კვების ობიექტების მოწყობა...
და როგორ წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა მოხერხდეს ეს ყველაფერი ორ დღეში — ამხელა საქმისთვის სასაცილოდ თუ სატირლად მცირე დროში?
ერთი სიტყვით, არაფერიც არ იყო, მათ შორის, მარადონასა და მისი მეგობრების ვიზების ფულიც, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გადაიხადა...
როგორც ჩანს, გათვლა მეტისმეტად პრიმიტიული იყო: მარადონა ჩამოვიდეს და, ხალხი სალაროს მიაწყდება, „ორანჯ ბარათებიდან“ 100-100 დოლარს მოხსნის და საქმეც გაკეთებულია, მეტი რაღაა საჭირო...
ხოლო როცა გაირკვა, რომ 100-100 დოლარის მოძიება არც ისე იოლი საქმე იყო, ორგანიზატორები დაფაცურდნენ და ფასი 50 ლარამდე ჩამოიყვანეს, ეს კი მაშინ მოხდა, როცა უკვე გვიანი იყო...
არადა, ამ შემთხვევაშიც არსებობს გამოცდილება. ბოლოს და ბოლოს, ძალიან მარტივი იყო იმის გაგება, რამდენი მყიდველი ჰყავს 50-ლარიან ბილეთებს, როცა საქართველოში იტალიის და საფრანგეთის ნაკრებები ჩამოდიან... თავდაპირველი გათვლა კი, ერთხელაც გავიმეორებთ, სამჯერ მეტ თანხაზე იყო.
და 10-ლარიანი ბილეთები? 10-ლარიანები უმცირესი რაოდენობით დაიბეჭდა. აქ გათვლა, ალბათ, ასეთი იყო: ვამბობთ, რომ ბილეთების ფასი 10 ლარიდან იწყება და გულშემატკივარი უშიშრად მიდის საყიდლად. სჯობს, სალაროსთან შეიტყოს, რომ 10-ლარიანი ბილეთები აღარ არის, ვიდრე სახლიდან გასვლის სურვილი თავიდანვე გაუქრეს 150 ლარის გაგონებაზე... როგორც ვთქვით, ორგანიზატორებს მარადონას ჩამოსვლის წინასწარ რეკლამირებასა და აჟიოტაჟის შექმნაზე არ უზრუნიათ — როცა ჩამოვა, სპორტული ჟურნალისტები თავად ატეხენ აჟიოტაჟს და ეს ორდღიანი კამპანია საკმარისი იქნებაო.
ჩვენ მარადონას სტუმრობის გასაშუქებლად ძალ-ღონე არ დაგვიკლია, თუმცაღა ორგანიზატორისგან შეურაცხმყოფელი ფრაზა კი მოვისმინეთ — პრესკონფერენციაზე რომ გამოგვიცხადა, კულტურულად მოიქეცითო...
ჰოდა, აღარც ის გაგვკვირვებია, მატჩისწინა ვარჯიშიდან სპორტული ჟურნალისტი (ალბათ უკულტურობაში შემჩნეული) ლამის კინწისკვრით რომ მიაბრძანეს იმ სარბენი ბილიკიდან, რომელზეც უშუალოდ მატჩის მსვლელობისას არხეინად დასეირნობდნენ ორივე სქესის, ყველანაირი ასაკისა და გაურკვეველი პროფესიის ადამიანები...
ცხადია, არც მატჩის ოქმების მომზადება-დარიგებისთვის შეუწუხებია ვინმეს თავი.
ბოლო აკორდი კი განსაკუთრებით „მომხიბვლელი“ იყო: აქაოდა, თამაში 45 წუთის დაგვიანებით იმიტომ დაიწყო, არგენტინელი ფეხბურთელები საცობში მოყვნენო... არა, თბილისური საცობების თაობაზე როგორ არ ვიცით, მაგრამ სხვა რამეც გაგვიგია: ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო... ხოლო, ოდესმე რომელიმე დიდი ფეხბურთელის ჩამოყვანას თუ განიზრახავს ვინმე, უმორჩილესად ვთხოვთ: გაიხსენონ დიეგო მარადონა და ყველაფერი პირიქით გააკეთონ.




# მარადონამ ოცნება სანახევროდ ამისრულა

## შოთა არველაძე: ამსტერდამშიც ვითამაშებთ და ტრაპიზონშიც

**შოთა არველაძემ ფეხბურთელის კარიერა ცოტა ხნის წინ დაასრულა და ახლა ჰოლანდიურ „ალკმაარში“ ლუის ვან გაალის თანაშემწედ მუშაობს. თბილისში დიეგო მარადონას მეგობრების წინააღმდეგ სათამაშოდ ჩამოსულ შოთას „ფონდი არველაძის“ ოფიციალური ვებგვერდი ესაუბრა და ჩვენც ამ ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ....**

— რას ნიშნავს შენთვის დიეგო მარადონასთან ერთად თამაში?

— ბავშვობის ოცნება იყო, მარადონასთან მეთამაშა. მის გუნდში არ მომიწია თამაში, თუმცა მასთან ერთად მოედანზე ყოფნაც დიდი საქმეა. შეიძლება ითქვას, ბავშვობის ოცნება სანახევროდ ამიხდა.

— როგორ მიდის სამწვრთნელო პრაქტიკა? „ალკმაარში“ ლუის ვან გაალის თანაშემწედ მუშაობით ბევრი შეიძინე?

— ყველაფერი კარგად მიდის. მწვრთნელის ამპლუაში ყოფნით უფრო დაკვირვებული გავხდი. მწვრთნელის საქმეც ეგ არის — კონცენტრირებული უნდა იყო.

— როგორ ატყობ, კიდევ რამდენი ხანი დაგჭირდება იმისთვის, რათა უკვე დამოუკიდებლად გაწვრთნა რომელიმე გუნდი?

— ამის ზუსტად თქმა ძნელია. ბევრი რამ გამოცდილებაზეა დამოკიდებული. მთელი სულით და გულით ჩართული ვარ მწვრთნელობაში, მაგრამ ამ საქმეს თავისი დრო აქვს, უცებ არაფერი გამოვა. იმასაც გააჩნია, როგორი გუნდის მთავარი მწვრთნელი უნდა გახდე — თუ გუნდი აუწყობელია, მეტი გამოცდილება დაგჭირდება.

— ალბათ, ტელევიზიით უყურე საქართველოს ნაკრების ბოლო ორ თამაშს. რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

— კვიპროსთან მატჩით კმაყოფილი ვერ დავრჩი, ბულგარეთთან კი ნაკრებმა კარგად ითამაშა, სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ მოახერხა.

— ზოგი სპეციალისტის აზრით, საქართველოს არ ჰყავს 4-3-3 სქემის შესაფერისი ფეხბურთელები. ეთანხმები ამას?

— ექტორ რაულ კუპერს მაინცში შევხვდი, სადაც ჩვენი ნაკრები ირლანდიას გაეჯიბრა. კუპერს ვუთხარი, ორ პოზიციაზე შესაფერისი ფეხბურთელები არ გვყავს-მეთქი — გარემარბებზე მივანიშნე. თუმცა კუპერი ისევ 4-3-3-ს ამჯობინებს და ასეთ დროს ალექსანდრე იაშვილის და ლევან ყენიას გარემარბებად გადაქცევა გვიწევს. სხვათა შორის, კლაუს ტოპმიოლერიც თავიდან 4-3-3 სქემის გამოყენებას ცდილობდა საქართველოს ნაკრებში, მაგრამ აქედან რაც გამოვიდა, ყველამ ვნახეთ.

— „ფონდი არველაძე“ აგვისტოს მოვლენების შემდეგ, დაზარალებულთათვის საქველმოქმედო მატჩის გამართვას ამსტერდამში აპირებდა „აიაქსისა“ და „ალკმაარის“ ვეტერანებს შორის...

— ეს მატჩი ამსტერდამის ოლიმპიურ სტადიონზე უნდა გაიმართოს და უკვე გვაცნობეს, რომ თამაში 22 ან 29 ნოემბერს შეგვეძლება. თბილისიდან ამსტერდამში რომ დავბრუნდები, ამ საქველმოქმედო მატჩის ორგანიზაციულ საკითხებზე უნდა ვიმუშაო.

— იგეგმებოდა კიდევ ერთი საქველმოქმედო მატჩიც ტრაპიზონში „ტრაბზონსპორსა“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერანებს შორის...

— თუ მოვახერხეთ დინამოელი ვეტერანების შეკრება, ეს მატჩიც გაიმართება. მე და აჩიმაც უნდა მოვახერხოთ თამაში — ტრაპიზონში ხომ ქართველი ფეხბურთელებიდან ყველაზე კარგად ჩვენ გვიცნობენ. ვფიქრობ, საქველმოქმედო მატჩი ტრაპიზონშიც ჩატარდება.

# საქართველოს ჩემპიონატი 20

## პირველი ლიგა — 9 ტური

### აღმოსავლეთი

**დინამო 2 0:1 ჩიხურა**

0:1 ჩიკვაიძე (28)

**დინამო 2:** ლორია, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, გუგავა (ქამუშაძე 74), გ. ჯოხაძე, ნემსაძე, მამუჩიშვილი, ნ. ჯიშკარიანი (ჯიუსი 46), ი. სიხარულიძე (ჭადაშვილი 67), ქანთარია

*სათადარიგონი:* გ. ნადირაძე, კაკუბავა, გ. ჩიკვაიძე, კოპაძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

**ჩიხურა:** დოლაძე, ზივზივაძე, რ. ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, დოლონაძე, ი. ზაბახიძე, ლ. ჩიკვაიძე (ჭილაძე 89), ბ. პეტრიაშვილი, გულიაშვილი (როგავა 69), ლ. კობახიძე (ზ. ნოზაძე 85)

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ცარციძე, გ. ენუქიძე, ნ. მაჭარაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

მსაჯი: კ. ჭაჭუა

100 მაყურებელი

**კახეთი 0:3 ვიტ ჯორჯია 2**

0:1, 0:2 ხვანიძე (55, 66), 0:3 ხურცილავა (90)

**კახეთი:** კობრიაშვილი, მ. ხიდეშელი, ტარულაშვილი, მურველიშვილი, ხუმარაშვილი, ო. აბდულაევი (გენგაშვილი 60), მელიქიშვილი, ი. კობაიძე (ი. ხუციშვილი 75), ლ. აბდულაევი, იმერლიშვილი (ლ. ტეტიაშვილი 60), ძამუკაშვილი

*სათადარიგონი:* ბ. მჭედლიშვილი, ახალბედაშვილი, ხამხაძე, ქუფარაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, კასრაძე, გოგიაშვილი, ვასაძე, დვალაშვილი, ვეკუა, გ. ჯანელიძე (ფურცელაძე 89), გამრეკლიძე, როსტიაშვილი (იოსელიანი 84), ი. ხვანიძე (ზაქრაძე 70)

*სათადარიგონი:* ლურბელეიშვილი, კახაძე, ლვინიაშვილი, ცხოვრებაძე

მწვრთელი: მერაბ კოჭლაშვილი

მსაჯი: თ. გვანცელაძე

100 მაყურებელი

**სიონი 2 1:1 ნორჩი დინამო**

1:0 გიგინეიშვილი (45), 1:1 ბოკუჩავა (67)

**სიონი 2:** გურგენიძე, გ. თავბერიძე, ნაყოფია, გ. ოქროპირიძე, ლ. ჩხეტიანი, უგულავა, გ. ჩივაძე, მ. ოქროპირიძე (შ. გაბრიჭიძე 83), ალფაიძე (ბუბუტეიშვილი 72), ჯიქიძე, გიგინეიშვილი

*სათადარიგონი:* ი. ბრეგვაძე, იობაშვილი, ბ. ჭაველაშვილი, გიორბელიძე, მ. ჭაველაშვილი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

**ნორჩი დინამო:** ვ. გაბრიჩიძე, ა. კალაძე, ცინცაძე, ბოკუჩავა, კ. ნაჭყებია (ა. შენგელია 53), ბ. მამარდაშვილი, ღვთისავრიშვილი, გურაბანიძე (კაკულია 82), ლ. გაბუნია, ლაბარტყავა (ე. გრიგალაშვილი 61), ქავთარაძე

*სათადარიგონი:* კ. დევიძე, ედიშერაშვილი, ბურჭულაძე

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

**გაგრა 2 3:2 თბილისი**

1:0 სეთურიძე (15), 1:1 ოდიშარია (17), 1:2 კბილცეცხლაშვილი (20), 2:2 კილაძე (32), 3:2 მეტრეველი (63)

**გაგრა 2:** ა. კოტრიკაძე, ბ. ტეტუნაშვილი, გ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე, გედენიძე, ლალიანი, ლ. სეთურიძე (ბ. ყიფიანი 57), ფილია (ცხადაია 46), ე. კილაძე (კორიფაძე 57), თ. მეტრეველი, დ. ჩხაიძე

*სათადარიგო:* გ. ნაჭყებია

მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე

**თბილისი:** ვ. ლობჟანიძე, სარაჯიშვილი, გ. ოდიშარია, დ. ამისულაშვილი, ბელქანია, გ. გურეშიძე, ი. მოდებაძე, ზვიადაძე (სებისკვერაძე 78), ჯაში (აფხაზავა 75), ხოხონიშვილი, კბილცეცხლაშვილი

*სათადარიგონი:* გ. გიორგობიანი, ჭაფოძე, სულუხია, ბ. ბაბუნაშვილი

მწვრთნელი: გელა გომელაური

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

100 მაყურებელი

**დილა 0:0 ჰერეთი**

**დილა:** დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, გ. თარგამაძე, ალთუნაშვილი, მინდიაშვილი (ბ. მაჭავარიანი 67), ჩერქეზიშვილი, ანდღულაძე, ივანიშვილი (თ. ბარამიძე 76), ფაილოძე, იჩქითი (ებანოიძე 66)

*სათადარიგონი:* კეზხუაშვილი, ბ. ქარდავა, ი. თოდუა, დაჩანიძე

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

**ჰერეთი:** ბილიხოძე, თანდაშვილი, გ. ლომიძე, ფარულავა, წვერავა, ხარაიშვილი, კუპრაშვილი, თოფურია, ყორღანაშვილი (უ. გოგოლაძე 20; ლ. მეტრეველი 75), შ. ლობჟანიძე, ბ. ფოფხაძე (ვარამიშვილი 62)

*სათადარიგონი:* ი. მაჭავარიანი, გრიგოლაშვილი, მატვიენკო

მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი

მსაჯი: ზვ. ასკაროლლი

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 9 | 6 | 2 | 1 | 21:7 | 20 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 5 | 3 | 0 | 17:2 | 18 |
| ამერი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 17 |
| დილა | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 14 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| სიონი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 13:22 | 9 |
| გაგრა 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 13:20 | 8 |
| თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| ნორჩი დინამო | 8 | 1 | 3 | 4 | 11:16 | 6 |
| ჰერეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:15 | 6 |
| კახეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:16 | 4 |

**X ტური**

29 ოქტომბერი

ნორჩი დინამო – კახეთი

30 ოქტომბერი

ჰერეთი – დინამო 2

თბილისი – სიონი 2

ამერი – გაგრა 2

ვიტ ჯორჯია 2 – დილა

### დასავლეთი

**ტორპედო 2008 2:0 ბათუმი**

1:0 დანელია (35), 2:0 ჩხეტიანი (90)

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, გ. გურული, ბიბილაშვილი, ხარებავა, ი. ჭანკვეტაძე, დანელია (ბ. ჩხეტიანი 46), კოსტავა (ი. დარსაძე 57), ბესარაშვილი, კობერიძე, იმედაძე, ა. ქობალია (ტიელიძე 46)

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, ნიქორიძე, მეტონიძე, ხარაბაძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

**ბათუმი:** თ. კაკალაძე, ფარტენაძე, გოგიტაური, გალოგრე (გორჯელაძე 50), გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე, რამიშვილი, მალაზონია (გ. ზოიძე 50), ლ. კალანდაძე (ქადიძე 70), ტულუში

*სათადარიგონი:* ვ. მჭედლიძე, ზაქარეიშვილი, თოთლაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

200 მაყურებელი

**მეშახტე 1:5 მერანი (მ)**

0:1 ტორაძე (25), 0:2 ციცხვაია (31პ), 0:3 გოგოლაძე (35), 1:3 ავალიშვილი (40), 1:4 ბოჭორიშვილი (47ს.კ.), 1:5 ჩალაძე

**მეშახტე:** თორთლაძე, დონაძე, ი. გვეტაძე, მ. ბოჭორიშვილი, გ. ქობალია, ჯიშიაშვილი (ბ. გვეტაძე 61), ჭკუასელი, მაჩალაძე, გოგუა, გ. გვენეტაძე, ავალიშვილი

*სათადარიგონი:* თ. გიორგაძე, წერეთელი, ლომთაძე, რ. კალანდაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

**მერანი (მ):** კოდალაევი, ჩხიკვაძე (ბერიშვილი 77), პაპადოპულოსი, ი. ვაშაკიძე, კვიტატიანი, წოწორია, ტორაძე (ენდელაძე 46), ლ. ჩალაძე, დ. გოგოლაძე, ლ. კირკიტაძე, ციცხვაია (ცაგარეიშვილი 61)

*სათადარიგო:* ჯ. შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

მსაჯი: ხ. გაგნიძე

100 მაყურებელი

**ჭიათურა 1:2 ბაია**

0:1, 0:2 ძალამიძე (38, 61), 1:2 სეფერთელაძე (87)

**ჭიათურა:** ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, ბრუსლი, კევლიშვილი, ცუცქირიძე (ეგაძე 46), ნგოკო (ზ. ხაჭიპერაძე 40), გ. ილურიძე, კ. ძაგანია, ვ. ტყემალაძე, სეფერთელაძე, სევასტოპულო

*სათადარიგონი:* ზ. დარჯანია, ნ. ტყემალაძე, გაფრინდაშვილი, გ. ხაჩიძე, ვაშაძე

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

**ბაია:** ივარდავა, ზ. ექონია, გ. პაჭკორია, გ. ჟვანია, ძალამიძე, კუტალია (ლ. ქობალია 70; ქაშაკაშვილი 88), წურწუმია (გუგუჩია 65), რაფავა, ვართაგავა, გ. ქირია, სვირავა

*სათადარიგონი:* მაქაცარია, კვეკვესკირი, ნ. შონია, კაკუშაძე

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

მსაჯი: ლ. სილაგავა

500 მაყურებელი

**კოლხეთი 4:0 ზესტაფონი 2**

1:0 ბაკარანძე (19), 2:0 ჩხარტიშვილი (28), 3:0, 4:0 ციკოლია (64, 87)

**კოლხეთი:** გ. შენგელია, ლუსტა, დ. ნარსია, ცხვიტარია, გელაჭეიშვილი, აბურჯანია, გვალია (გვიჩია 65), მ. ჩხარტიშვილი, გოგნაძე (ლემონჯავა 73), ბაკარანძე, ქანდავაძე (ციკოლია 44)

*სათადარიგონი:* ჩემია, გეგელია, გ. სიჭინავა

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, ზ. ლობჟანიძე, ბუკია, შ. ლონლაძე, ი. ხვადაგიანი, ბერუაშვილი, სუხიაშვილი (კამლაძე 70), ბერიძე, სტეფანიშვილი, რ. ჩიხლაძე (ლ. ცხადაძე 65), ლ. გაბრიჭიძე (კეჭაყმაძე 55)

*სათადარიგონი:* ბ. ცხადაძე, ო. ბოჭორიშვილი, ბერძენაძე, კვირიკეიშვილი

მწვრთნელი: გია ნადირაძე

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

300 მაყურებელი

**გურია 1:1 ხობი**

1:0 ტ. კუკულაძე (23), 1:1 გაგუა (35)

**გურია:** აბრამიშვილი, ქურიძე, ცინცაძე, რ. კუკულაძე, გ. იმნაძე, ი. კილაძე, მ. კოტრიკაძე (ჯაყელი 62), ბეგოიძე (ს. მოდებაძე 46), ხ. მგელაძე, ტ. კუკულაძე, ურუშაძე

*სათადარიგონი:* გ. ჩხაიძე, ჯორბენაძე, დათიაშვილი, სულაბერიძე, შეწირული

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

**ხობი:** ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ა. კვირკველია, ჯამბურია, ალანია (ფირცხელავა 60), კ. გოგენია, ლეფსაია (ლატარია 60), გაგუა, სართანია, ღლონტი (გრიგოლია 75)

*სათადარიგონი:* ჭურღულია, მ. შონია, ჩაჩიბაია, ჩიტაია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

მსაჯი: ო. ხეცაძე

200 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| კოლხეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| მერანი (მ) | 8 | 5 | 2 | 1 | 16:6 | 17 |
| ჭიათურა | 9 | 5 | 1 | 3 | 17:7 | 16 |
| სამტრედია | 8 | 4 | 1 | 3 | 12:7 | 13 |
| ხობი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| გურია | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:13 | 8 |
| ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | 8 |
| ტორპედო 2008 | 8 | 2 | 1 | 5 | 3:6 | 7 |
| მეშახტე | 8 | 0 | 1 | 7 | 5:22 | 1 |

**X ტური**

30 ოქტომბერი

მერანი (მ) – ტორპედო 2008

ზესტაფონი 2 – მეშახტე

ხობი – კოლხეთი

ბაია – გურია

სამტრედია – ჭიათურა



# სანდრო გურული — უკრაინის ტურის სიმბოლური ქართველი

**სანდრო გურული** თვენახევრის წინ გადავიდა ლვოვის „კარპატიში“, თუმცა სახელის დაგდება უკვე მოასწრო. 22 წლის ქართველი შემტევი უკრაინელმა ჟურნალისტებმა გასული ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

გურული „კარპატის“ ფანების გამოკითხვით, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა სექტემბერში, რაც ასევე ორმაგად დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოდენ ორი მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველებმა თასი ქართველებს მოუგეს

**ნუკრი მანჩხავა**-აკაკი ხუბუტიას „კაუნასმა“ ბალტიის თასი მოიგო. ფინალში ლიტვის საუკეთესო კლუბმა დავით გამეზარდაშვილი-ლადო დვალიშვილის „სკონტოს“ 2:1 სძლია. „კაუნასი“ ორი ბურთით იგებდა და 89-ე წუთზე დვალიშვილმა პენალტით ერთი გაქვითა, თანაც გოლს ცოტა უხამსი ჟესტი მიაყოლა, რამაც მინდორზე იქამდეც დაძაბული ატომსფერო უარესად დაძაბა.

მეორე ტაიმის შუაში გუნდებს თითო ფეხბურთელი გაუძევეს...

ოთხი ქართველიდან ყველამ ითამაშა — დვალიშვილი 66-ე წუთიდან ჩაერთო მატჩში, დანარჩენი სამნი კი შეუცვლელი იყვნენ. ხუბუტიამ და გამეზარდაშვილმა ყვითელი ბარათები მიიღეს.

ერთიც ალვნიშნოთ: „სკონტო“ ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობდა, „კაუნასს“ კი რამდენიმე ლიდერი აკლდა.



ლადო დვალიშვილი

**ილია ნანოგაშვილი**

# ოთხი ქართველის სრული მოლდოვა

**ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა“ ლევან კორღალიძის და სერგი ორბელაძის „დაჩიას“ შინ 2:0 სძლია.

სამივე ქართველმა სრულად ითამაშა.

ამ გამარჯვებით „შერიფმა“ 39 ქულა მოაგროვა და ლიდერია, „დაჩია“ კი 29 ქულით მესამეზეა.

რაც შეეხება კიდევ ერთ „მოლდოველ“ ქართველს: მამუკა ლომიძის „ზიმბრუ“ 1:2 დამარცხდა „დინამოსთან“.

ქართველმა მცველმა, როგორც ყოველთვის, 90 წუთი ითამაშა.

**კახა შალამბერიძე**

# ანჟის არზიანი არ ეყო




**მახაჩყალის** „ანჟიმ“ რუსეთის პირველი დივიზიონის მორიგ ტურში შინ 1:1 ითამაშა ბრიანსკის „დინამოსთან“.

მახაჩყალელებმა წინა ტურში ლიდერ „როსტოვს“ მიხეილ აშვეთიას ჰეთ თრიკით სძლიეს, მაგრამ ახლა აუტსაიდერთან წაიფორხილეს.

პაატა ჯინჭარაძის „დინამოს“ მასპინძელთაგან გოლი ზურაბ არზიანმა გაუტანა, თუმცა, როგორც ვთქვით, დაღესტნელებმა უპირატესობა ველარ შეინარჩუნეს...

და ერთიც: ომარ თეთრაძემ განაცხადა, რომ მომავალ სეზონშიც „ანჟის“ მთავარი მწვრთნელი იქნება.

**კახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ატალანტა 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 4 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | შ | ფიორენტინა 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 1 | 11 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | მიდლსბრო 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 11 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | არმინია 0:0 | 90 | | 6 | 0 | 7 |
| ლევან ყენია | შალკე | შ | არმინია 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 7 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | გლადბახი 0:1 | 79 | შეცვალეს | 7 | 0 | 13 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | ს | ოსნაბრუკი 2:0 | 52 | შეცვალეს | 5 | 0 | 9 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | ს | ინგოლშტადტი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 15 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | ს | აალენი 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 1 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | შ | ალტახი 6:0 | 90 | | 13 | 0 | 3 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | შ | ალტახი 6:0 | 90 | | 13 | 0 | 3 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ა. ლუშტენაუ | შ | გრატკორნი 2:1 | 0 | | 4 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | ს | ამკარი 0:0 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 8 |
| დავით კვირკველია | რუბინი | შ | კრილია 3:0 | 90 | | 23 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | კრილია 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | კრილია 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | შინიკი 1:2 | 82 | საგოლე პასი, შეცვალეს | 21 | 1 | 10 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | ს | შინიკი 1:2 | 89 | გააძევეს | 25 | 3 | 10 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | ს | შინიკი 1:2 | 90 | 1 გოლი | 23 | 4 | 10 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | ს | ხიმკი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 23 | 2 | 15 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | ს | ტავრია 3:1 | 90 | | 5 | 0 | 1 |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ტავრია 3:1 . | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | ტავრია 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ტავრია 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | დინამო 1:3 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 1 | 16 |
| ლადო ბურდული | ტავრია | შ | დინამო 1:3 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 16 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | შ | ლვოვი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 7 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | შ | დნეპრო 1:1 | 0 | | 9 | 0 | 9 |
| ჯაბა კანკავა | დნეპრო | ს | ჩერნომორეცი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| სანდრო კობახიძე | დნეპრო | ს | ჩერნომორეცი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ბექა ბერაშვილი | დნეპრო | ს | ჩერნომორეცი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| სანდრო გურული | კარპატი | შ | მ. ზაპოროჟიე 0:0 | 84 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 4 | 0 | 11 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | სლავია 0:0 | 0 | | 1 | 0 | 2 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | ს | ბოჰემიანსი 2:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 1 | 10 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | შ | მორავცე 1:2 | 54 | შეცვალეს | 13 | 2 | 9 |
| მირიან ქითავა | ტატრანი | ს | რუჟომბეროკი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. თასი** | | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | შ | აარაუ 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | შ | ვაილე 2:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **დანია. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | აკადემისკი 1:2 | 90 | | 8 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— ეს ფერგიუსონიც რა მაგრა ღეჭავს, ტო! ღეჭავს, ღეჭავს, ღეჭავს... რასა ღეჭავ, ტო! გამოუშვი ტევესი და ნანა, თუ ნანი... ჰო, და მერე ღეჭე, რა!

— „მანჩესტერის" ორიანი გეწერა, ძმაო? რამ ჩაგაწერინა, „სელტიკთან" მოგებამ დაგაბოლა და „ევერტონთან" ორიანი დაუდე?

— „სელტიკი" რა შუაშია, ტო! „მანჩესტერის" ორიანი მაგრა ჩანდა, კუში იმენა მიკროფონში ყვიროდა, აბა, „ევერტონი" და ფუტბოლი? მარა ფერგიუსონიც რო მთლად გამოსერდა?

— ზნაჩიტ, შაბათს ვერაფერი მოიგე? ვერ დახურე ტოტალიზატორი რესტორანივით, ძმაო?

— რა დავხურე, ტო! „ევერტონი" — „მანჩესტერი" რო დამთავრდა, ექვსის თხუთმეტ წუთზე უკვე მაგარი სერი ვიყავი.

მე ბილეთი ხელში მიკვდებოდა, ფერგიუსონი კიდე ღეჭავდა. მეთქი, აძინ აძინზე ტევესს გამოუშვებს, ნანისაც მიაყოლებს და ბილეთს რეანიმაციიდან გამოვიყვან...

„მანჩესტერის" მერე კიდე 19 გუნდი მეწერა, ყველა შაბათის თამაშები და ყველ ცვეტში დავსვი. შენ რა ქენი, ტო, დახეული ბილეთების კოლექცია შეავსე?

— „ინტერის" მათხოვარი... ეგ მაურინიუ ისე უნდა ცემო, რო შავ-ლურჯ ფერებში გადადიოდეს.

— „ინტერის" ერთიანი ხიე „ჯენოასთან"? როგორ, ტო, რატო? ანდაზა არ გაგიგია, მაურინიუ მორატისთან დააბი ან ფერს იცვლის ან ზნესაო?

— თუ ძმა ხარ, რა! რა ანდაზებით მელაპარაკები...

— რა და, მაურინიუ ინგლისში არა ყომარობდა, იტალიაში კიდე მაკარონი აჭამეს და იქაური პონტები დაიწყო. აბა, ვინ დამაჯერებს, რომ „ინტერმა" ეგ თამაში არ გაყიდა... „ჯენოას" კაცი გაუგდეს, ტო! თან მესამოცეზე, ტო! და შენ მეუბნები, რომ „ჯენოამ" ფუტბოლი ითამაშა? აზრზეც არა ხარ, რო ნავთობის ფასმა დაიწია...

— რა ნავთობი, ძმაო, რას მიედ-მოედები...

— როგორ, ტო! მასიმო მორატი რო ნავთობის ბიზნესშია არ იცოდი? ერთი ბარელი 60 დოლარი გახდა და მაყუთს ველარა ჭრის, გაიგე? ამ დროს იჩითება „ჯენოასთან" თამაში, უეჭველი ერთიანი ჩანს და შენნაირები „ინტერის" მოგებას რო წერენ, ძია მასიმოს ფული უკვე ნიჩიაზე დაუდია. რეები ხდება, ხედავ?

— ბარელზე გამახსენდა, ხვალე „ბრანლი" და ბარნსლი" წყვილად არ იგებენ?

— დაანებე, რა თავი! მე გეტყვი უეჭველ თამაშს. ხვალ ფინეთის ჰოკეიში აილე „ჰაამეენლინა" — „ლუკოს" ოთხი და მეტი ყვითელი.

**ჭუში ჭოლმარია**

ჩემი ბილეთი:
001 „მანჩესტერი" — „ვესტ ჰემი"
შედეგი: ფერგიუსონი დაღეჭავს
სავარაუდო მოგება: ქვედა ყბა
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ,
მანჩესტერის ბუტკებში რამდენი აქვს
ფერგიუსონს სალეჭი რეზინის ვალი.

114140 *

## ნოვოს სქოთობა მოუნდა

**„გლაზგო რეინჯერსის"** ესპანელი ფეხბურთელი ნაჩო ნოვო შოტლანდიის ნაკრებში თამაშზე უარს არ იტყოდა.

ფეხბურთელი უკვე 8 წელია, რაც „ჩაფრების" ღირსებას იცავს და უახლოეს მომავალში გაერთიანებული სამეფოს პასპორტის მისაღებად განცხადების შეტანას აპირებს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ეროვნულ გუნდში მისი გამოძახების სურვილს გამოთქვამს.

## ებრაელებმა ამხანაგურები დაგეგმეს

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებისთვის მოსამზადებლად, ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ კოტ დივუარის, უნგრეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებებთან სამი ამხანაგური შეხვედრა დაგეგმა.

19 ნოემბერს ებრაელები კოტდივუარელებს გაეჯიბრებიან, 2009 წლის 11 თებერვალს მადიარებს შეხვდებიან, ხოლო 12 აგვისტოს ბელფასტში ჩრდილოირლანდიელებს ეწვევიან.

## ფრიცს მუსიკოსობა მოსწონს

**ბრემენის** „ვერდერის" მცველმა კლემენს ფრიცმა კლუბთან კონტრაქტი გააახანგრძლივა. 27 წლის ფეხბურთელი „მუსიკოსთა" ბანაკში, სულ ცოტა, 2012 წლამდე დარჩება.

„ვერდერში" ტიტულების მოსაგებად გადმოვედი. აქ თავს კარგად ვგრძნობ და დარჩენა ამიტომ გადავწყვიტე" — აღნიშნა ფრიცმა, რომელმაც ამ სეზონში ბუნდესლიგაში 8 მატჩი ჩაატარა და ორჯერ ყვითელი ბარათი მიიღო.

## ფრედი ლიუნგბერგი სიეტლს უახლოვდება

**შვედეთის** ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფრედერიკ ლიუნგბერგი უახლოეს დღეებში ამერიკულ „სიეტლთან" კონტრაქტს გააფორმებს.

ლიუნგბერგმა სახელი ლონდონის „არსენალში" გამოსვლით გაითქვა, მისი უკანასკნელი კლუბი კი ასევე ლონდონის „ვესტ ჰემი" იყო. ივნისში 31 წლის ნახევარმცველმა ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა , აგვისტოში კი „ჩაქუჩებმა" ფრედის კონტრაქტი გაუწყვიტეს. ასე რომ, ამჟამად შვედი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

## მატიე ფლამინიმ ბარძაყი დაიშავა

**იტალიური** „მილანის" ფრანგმა ნახევარმცველმა მატიე ფლამინიმ „ატალანტასთან" სერია A-ს მე-8 ტურის მატჩში ბარძაყის ტრავმა მიიღო და 30-ე წუთზე მის ნაცვლად მოედანზე ბრაზილიელი ემერსონი შევიდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს გაატარებს ლაზარეთში „როსონერის" ნახევარმცველი.

**არჩილ ძოზაძიძე**

# შეთქმულების მსხვერპლი

**თურმე,** ხუანდე რამოსს სწამს, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" ის, არც მეტი, არც ნაკლები, ფეხბურთელთა ღალატის გამო გააგდეს. ლონდონური გუნდის ესპანელი მწვრთნელი სამეგობროში სამ კაცს ასახელებს. მისი მტკიცებით, ეს სამი ფეხბურთელი განზრახ ცუდად თამაშობდა, რათა იგი სამსახურიდან გაეშვათ და ეს შაბათამდე კარგა ხნით ადრე ხდებოდა.

კიდევ, „სევილიას" ყოფილი თავკაცი ამბობს, რომ ბოლოდროინდელი ინგლისური ტრადიციის შესაბამისად, მას კლუბის სატრანსფერო საქმეებში ცხვირს არ აყოფინებდნენ, რისი დასტურიც გასული ზაფხული გახლდათ, როდესაც კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელის ერთი რჩევა-სურვილიც კი არ გაითვალისწინა. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, რამოსზე უიღბლო კაცაო, ვერავინ იტყვის, რადგან ძველი სამსახურის კარის გამოხურვა ვერ მოასწრო, რომ მეორე გაელო — სამსახურს მადრიდის „ატლეტიკო" სთავაზობს. მოგეხსენებათ, ესპანეთის ცხრილში მერვე ადგილზე მყოფი „ატლეტიკო" ხავიერ აგირეს სამსახურიდან გაშვებასთან მეტად ახლოს არის. მართალია, ესპანეთის დედაქალაქის გუნდმა კვირას, „ვილიარეალთან" 2:4-ის შემდეგ 4:4 მოახერხა, მაგრამ თამაშის ხარისხით დირექტორები უკმაყოფილო დატოვა.

ხუანდე რამოსზე უიღბლოს თქმა კიდევ იმიტომ არ შეიძლება, რომ მისი გასამრჯელო პრემიერლიგის მწვრთნელთა გასამრჯელოებიდან ერთ-ერთი უმსხვილესი იყო, წელიწადში 4,2 მილიონ გირვანქას უდრიდა და ამბობენ, რომ ლონდონიდან შინ 7 მილიონით დაბრუნდება.

„ხუანდე „ტოტენჰემის" შეფების გადაწყვეტილებამ სულაც არ გააოგნა და არ დაზაფრა. ის ელოდა, რომ მას თანამდებობიდან გააგდებდნენ — უამბო „სანის" ჟურნალისტებს რამოსის ერთმა მეგობარმა — ის დარწმუნებულია, რომ მის წინააღმდეგ რამდენიმე ფეხბურთელმა პირი შეკრა, რის შემდეგაც ერთმა კლუბის დირექტორატში დაიწყო სირბილი და მისი გაშვების მზადება. ერთი სიტყვით, ის თავს ნალალატევად გრძნობს. რასაკვირველია, ის აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც პირადად მას აწევს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ხელის მხოლოდ მასზე შეწმენდა და ფეხბურთელების პასუხი-



ხუანდე რამოსი

სმგებლობისგან განთავისუფლება არასწორია".

ხუანდე რამოსი და მისი მეუღლე კვირას ესპანეთში დაბრუნდნენ. ლონდონელებმა მასთან ერთად თანამდებობიდან გაანთავისუფლეს სპორტული დირექტორი დამიან კომოლი და ასისტენტი გუსტავო პოიეტი.

„ხუანდეს სატრანსფერო საქმეებში არავინ რევდა — ესეც რამოსის ზემოხსენებული მეგობრის სიტყვებია — მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველა გადაწყვეტილებას კომოლი და კლუბის თავმჯდომარე დენიელ ლივი იღებდნენ. კომოლი ფეხბურთელებში მაინცდამაინც ვერ ერკვევა და რომ არ დაგიმალოთ, ხუანდე მას შტერად მიიჩნევდა".

**ბაჰუნა ძედია**

# FIFPro World XI




# FIF PRO-მ საუკეთესოები დაასახელა

**პროფესიონალ** ფეხბურთელთა საერთაშორისო ასოციაციამ (FIF PRO) 2007-2008 წლების სიმბოლური ნაკრების თავისი ვერსია გამოაქვეყნა, რომელიც 57 ათასი პროფესიონალი ფეხბურთელის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ სიმბოლურ თერთმეტეულში ერთბაშად 5 ესპანელი და 3 ინგლისელი მოხვდა.

**ნაკრები შემდეგნაირად გამოიყურება:**

**მეკარე:** იკერ კასილიასი („რეალი", ესპანეთი);

**მცველები:** სერხიო რამოსი („რეალი", ესპანეთი), ჯონ ტერი („ჩელსი", ინგლისი), კარლეს პუიოლი („ბარსელონა", ესპანეთი), რიო ფერდინანდი („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი);

**ნახევარმცველები:** სტივენ ჯერარდი („ლივერპული", ინგლისი), ხავი ერნანდესი („ბარსელონა", ესპანეთი), კაკა („მილანი", ბრაზილია);

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი („ბარსელონა", არგენტინა), ფერნანდო ტორესი („ლივერპული", ინგლისი), კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი", პორტუგალია).

**არჩილ ქოჩაკიძე**

# მანჩესტერ იუნაიტედის მომავალი მწვრთნელი



**ჟოზე მაურინიუ** ის კაცია, ვინც „მანჩესტერ იუნაიტედს" სერ ალექს ფერგიუსონის შემცვლელად ეგულება და ნუ იფიქრებთ, რომ ეს თავად სერ ალექსის ზურგსუკან ხდება. პირიქით, მანჩესტერელთა დიდი სქოთი თავკაცი თავის პოსტზე მომავალში სწორედ პორტუგალიელს ხედავს.

როგორც საკვირაო The News Of The World გვატყობინებს, „ოლდ ტრეფორდის" უმაღლეს საფეხურებზე ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები უკვე ჩატარდა და მაურინიუს გვარი ყველაზე ხმამაღლა გაისმა. საქმე ის არის, რომ „იუნაიტედის" შეფები სერ ალექსის გადადგომას გაისად ელიან, როდესაც ლეგენდარული მწვრთნელი 69 წელიწადს მიუკაკუნებს. ამასთან დაკავშირებით, კლუბის საქმეში ჩახედულმა თანამშრომელმა ზემოაღნიშნულ გამოცემას უთხრა:

„კლუბის უმაღლეს ხელისუფალთა პირით ყველაზე ხშირად სწორედ მაურინიუს გვარის ხსენებას გაიგებთ. ეს ადამიანი იმ პიროვნული თვისებებით გახლავთ დაჯილდოვებული, წარმატების მოპოვებას რომ სჭირდება და ამიტომ, სერ ალექსის შემცვლელთა სიაში პირველ ნომრად სწორედ ის წერია. ეს ორი კაცი, მაურინიუს „ჩელსიში" მუშაობის წლებში ძალიან დაახლოვდა და მათ შორის ჩუმი ურთიერთპატივისცემა სუფევს. კლუბის მეპატრონე გლეიზერებიც სწორედ მაურინიუს დაქირავების იდეას ემხრობიან. კიდევ ერთი მთავარი კონკურენტი ფაბიო კაპელო იქნებოდა, რადგან ფერგიუსონი ამ სპეციალისტსაც უდიდეს პატივს სცემს, მაგრამ იტალიელს უკვე ნათქვამი აქვს, რომ ინგლისის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ფეხბურთში მოღვაწეობას თავს დაანებებს".

როგორც ჟურნალისტებმა გაარკვიეს, მაურინიუს იდეას მხარდამჭერა „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელთა შორისაც აქვს. კერძოდ, პორტუგალიელის მოყვანის შესაძლებლობას ინგლისის ჩემპიონთა კაპიტანი რიო ფერდინანდიც ალუფრთოვანებია.

შევახსენებთ, რომ მაურინიუმ, რომელმაც საკუთარ თავს „განსაკუთრებული" შეარქვა, „ჩელსი" ინგლისის ჩემპიონის ზედიზედ ორ ტიტულამდე მიიყვანა, მაგრამ ერთი წლის წინ ლონდონიდან წავიდა და ახლა სამწლიანი ხელშეკრულებით „ინტერს" ხელმძღვანელობს. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. სულ რაღაც ერთი კვირის წინ მან იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა:

„მე პრემიერლიგის ფეხბურთი მიყვარს და ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დავბრუნდები იქ. სწორედ ამის გაკეთება მინდა მას მერე, რაც „ინტერიდან" წავალ".

The News Of The World-ის ჟურნალისტებმა „ჩელსის" წყაროებიც მოსინჯეს და იქიდანაც საინტერესო ამბავი გამოიტანეს.

„ჟოზე „მანჩესტერ იუნაიტედის" სიყვარულს არასდროს მალავდა. მეტიც, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ის ამ გუნდით შეპყრობილი იყო და სულ მსოფლიოს უდიდესი კლუბის სათავეში ჩადგომაზე ოცნებობდა. „სტემფორდ ბრიჯიდან" წასვლის შემდეგ ის საკუთარი თავის იტალიაში შემოწმებაზე ლაპარაკობდა, თუმცა მის ნაცნობთა უმეტესობისათვის ყოველთვის აშკარა იყო, რომ ის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლასა და „ჩელსიზე" შურისძიებას ეშურებოდა".

**ბაკუნა ძიდია**

| X ტური |
| --- |
| **დღეს** |
| ნიუკასლი — ვესტ ბრომვიჩი |
| **ხვალ** |
| არსენალი — ტოტენჰემი |
| ბოლტონი — ევერტონი |
| ჰალი — ჩელსი |
| მანჩესტერი — ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო — სიტი |
| სტოკი — სანდერლენდი |
| ასტონ ვილა — ბლექბერნი |
| ფულემი — უიგანი |
| ლივერპული — პორტსმუთი |

# ინგლისი

## თხუთმეტი წუთის ამბავია

**აი, საღამოდ** მივიდა პრემიერლიგა: ტურის მთავარი მატჩია „ჰალი" — „ჩელსი". როგორია? ჰალელებმა ერთი ბობოლა უკვე გააკრეს ბეჭებზე: რამდენიმე კვირის წინ „არსენალს" სტუმრად მოუგეს და ახლა მეორე ლონდონურ გრანდს დაეჯახებიან.

წინა ტურში „ლივერპულთან" წაგებამ „ჩელსის" პირველი ადგილი დააკარგვინა, მაგრამ „არისტოკრატებმა" დღეს „ჰალს" თუ აჯობეს, სულ მცირე, თხუთმეტი წუთით ცხრილის თავში მოექცევიან, რადგან „ლივერპულის" თამაში თხუთმეტი წუთით გვიან დასრულდება.

„ჩელსის" სტუმრად ოთხივე მატჩი აქვს მოგებული და მათგან სამში გოლი არ გაუშვია. „ჰალმა" ზედიზედ ოთხ ტურში იმარჯვა და ბოლო სამში კარი მშრალად შეინახა.

„ტოტენჰემის" ახალმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა კვირას სადებიუტო მატჩში „ბოლტონს" მოუგო და „დეზების" ფანები სეზონში პირველი გამარჯვებით გაახარა.

ხვალ „ტოტენჰემის" თავკაცს გაცილებით რთული გამოცდა „არსენალთან" ლონდონურ დერბიში ელის. „მეთოფეები" შინ თანაქალაქელ კლუბთან 1993 წლის შემდეგ არ დამარცხებულან. ბოლოს „ტოტენჰემმა" „არსენალს" პრემიერლიგაში „უაით ჰართ ლეინზე" 1999-ში მოუგო. წლევანდელ იანვარში კი „დეზებმა" ლიგის თასზე „მეთოფეები" შინ 5:1 გაანადგურეს.

სტუმრად უკეთ მოთამაშე „ევერტონი" ბოლტონში ჩავა, სადაც 2005 წლის მაისის მერე არ წაუგია. თვეზე მეტია, ევერტონელები პრემიერლიგაში ვერ იგებენ, „ბოლტონს" კი ბოლო ორ მატჩში გოლიც არ გაუტანია.

მეცხრე ადგილზე აცოცებული, „სანდერლენდი" „სტოკს" დაუხვდება, რომელსაც ბოლოს ჩემპიონლიგაში (2007) შინ 2:2 ეთამაშა. ქვედა დივიზიონში ეს გუნდები ერთმანეთს 14-ჯერ შეხვდნენ და „სტოკმა" მხოლოდ ოთხჯერ იმარჯვა, მათ შორის ერთხელ (1994) — სანდერლენდში. პრემიერლიგაში „სანდერლენდის" წაუგებელმა სერიამ სამ მატჩს უწია.

ზედიზედ სამ ტურში წამგები „ვესტ ჰემი" „მანჩესტერ იუნაიტედს" ესტუმრება, სადაც ბოლოს 2007-ის გაზაფხულზე, ტევესის გოლით, 1:0 მოუგო.

პრემიერლიგის ერთადერთი უფრო გუნდი „მიდლსბრო" „მანჩესტერ სიტის" უმასპინძლებს. 11 მაისს ბოროელებმა „სიტი" შინ 8:1 გაანადგურეს და მანჩესტერული კლუბი ხვალ დაცვაში ყურადღებით, შეტევაში კი რობინიოს იმედით იქნება, რომელმაც კვირას ჰეთ თრიქი შეასრულა. ზედიზედ სამ ტურში „სიტის" ორზე ნაკლები გოლი არ გააქვს, „მიდლსბროს" კი მიჯრით ხუთ მატჩში, თითოეულში ერთზე მეტი არ გაუტანია.

„ბლექბერნი" ბირმინგემში „ასტონ ვილას" ჩააკითხავს, საიდანაც 2004 წლის მერე სამი ქულით არ დაბრუნებულა.

„ფულემი" და „უიგანი" პრემიერლიგაში (2005 წლიდან) ერთმანეთს ექვსჯერ შეხვდნენ. ლონდონელებმა ერთხელ მოიგეს, ორჯერ „უიგანმა" იმარჯვა და ბოლო სამი თამაში ფრედ დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩებში ორ გოლზე მეტი არასოდეს გასულა.

„ფულემის" მოუგებელი სერია ექვსმატჩიანია, „უიგანმა" კი ჩემპიონატში ბოლო სამივე ტურში წააგო.

ჰარი რედნაპის წასვლის შემდეგ, „პორტსმუთის" დროებითი თავკაცი ტონი ადამსია, თუმც კლუბის შეფები ახალ მწვრთნელს ეძებენ. კანდიდატურა ორია: ავრაამ გრანტი და სემ ალარდაისი. სანამ „პორტსმუთს" თავს დაადგამენ, ტონი ადამსი გუნდს „ლივერპულთან" სათამაშოდ ჩაიყვანს. პორტელებს „ენფილდზე" 1951 წლიდან არ გაუმარჯვიათ. „ნიუკასლს" ჯო კინეარის ხელში თამაში ჯერ არ მოუგია და ეგებ ნავსი დღეს, „ვესტ ბრომვიჩთან" გატეხოს, რომელიც ბოლო ხუთ საშინაო შეხვედრაში დაამარცხა.

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 ლივერპული | 9 | 7 | 2 | 0 | 14:6 | 8 | 23 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 10 | 5 | 4 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 13 |
| 2 ჩელსი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:4 | 15 | 20 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 5 | 8 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 12 |
| 3 ჰალი | 9 | 6 | 2 | 1 | 14:11 | 3 | 20 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:8 | -3 | 7 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 13 |
| 4 არსენალი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:6 | 12 | 19 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 9 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 10 |
| 5 ასტონ ვილა | 9 | 5 | 2 | 2 | 16:10 | 6 | 17 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 3 | 9 |
| 6 მანჩესტერი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:5 | 8 | 15 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 |
| 7 პორტსმუთი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:14 | -4 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:10 | -7 | 4 |
| 8 სიტი | 9 | 4 | 1 | 4 | 23:14 | 9 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 15:6 | 9 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 4 |
| 9 სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 10 ვესტ ჰემი | 9 | 4 | 0 | 5 | 14:16 | -2 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 2 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 11 ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:15 | -6 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 5 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | -1 | 7 |
| 12 მიდლსბრო | 9 | 3 | 1 | 5 | 8:15 | -7 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:8 | -4 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 13 ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:14 | -7 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 4 |
| 14 ევერტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 13:19 | -6 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:8 | 0 | 7 |
| 15 უიგანი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:13 | -2 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 4 |
| 16 ფულემი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |
| 17 ბოლტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | -4 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 |
| 18 სტოკი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:18 | -8 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:8 | -1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 1 |
| 19 ნიუკასლი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:17 | -7 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 2 |
| 20 ტოტენჰემი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:12 | -5 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 1 |

**ვათა ხუციშვილი**

# ჩემპიონობისთვის მზად ვართ!



**რაფა ბენიტესმა** სიხარულით განაცხადა, „ჩელსისთან“ ჩვენი გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ტიტულის კანდიდატები ვართო. ეს სიტყვები „წითლების“ ბოსმა „სტემფორდ ბრიჯზე“ გამართულ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა.

„როგორც ყველაზე ძლიერ გუნდებთან, ისე ნებისმიერ სხვასთან ბრძოლისთვის, როგორც მენტალურად, ისევე ოსტატობით მზად ვართ — ბრძანა ესპანელმა — „სტემფორდ ბრიჯზე“ გამარჯვება უძნელესი საქმეა. ჩვენ ეს შევძელით და ამით როგორც კონკურენტებს, ისე საკუთარ გულშემატკივარს ბევრი რამ ვუთხარით. ამიერიდან ჩვენ ნებისმიერ სტადიონზე მოსაგებად შეგვიძლია წავიდეთ. დღეს ძალიან ძლიერ, შემტევ გუნდთან შეხვედრაში დავამტკიცეთ, რომ გამარჯვებაზე ვფიქრობდით. ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, ასეთ დროს კი მოწინააღმდეგისთვის საგოლე მომენტების შექმნა ძნელია. „ჩელსის“ მაინც ჰქონდა რამდენიმე მომენტი, მაგრამ კარგი საგოლე პასი ვერ მოახერხა“.

ადრეც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ამ თამაშამდე „ჩელსი“ „სტემფორდ ბრიჯზე“ პრემიერლიგაში წაუგებლად მოდიოდა. უფრო ზუსტად, ლონდონელებს 2004 წლის თებერვლის შემდეგ 86 შეხვედრაში არ წაეგოთ, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს, სტემფორდბრიჯელთა წარბშეუხრელობასაც კი, რასაც კვირა დღეს ხაბი ალონსომ პატარა რიკოშეტის დახმარებით დაუსვა წერტილი.

ერთი სიტყვით, ლონდონის ცენტრში ბენიტესმა ბოლო 19 წელიწადში მერსისაიდელების პირველი ჩემპიონობის ტიტული იყნოსა.

„აქ იმ მენტალიტეტით და განწყობით ჩამოსვლა, ჩემმა ფეხბურთელებმა რომ აჩვენეს, მთელი დანარჩენი სეზონისთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ საკუთარი ძალებისა გვწამს, მაღალი ხარისხის ფეხბურთს ვთამაშობთ, წინა თამაშებში დავამტკიცეთ, რომ უილბლოდ დაწყებული მატჩების ბედის შემობრუნებაც შეგვიძლია და საერთოდაც, მტკიცე ბუნებისანი გახლავართ“.

„ლივერპული“ ოთხშაბათს, „ენფილდ როუდზე“ „პორტსმუთს“ უმასპინძლებს. ამაზე ესპანელმა ასე ბრძანა:

„ჩვენ უკვე „პორტსმუთზე“ უნდა დავიწყოთ ფიქრი. რასაკვირველია, თუ ამ მომენტის მენტალიტეტის შენარჩუნება გვინდა, ოთხშაბათს აუცილებლად უნდა მოვიგოთ. თუ გახსოვთ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხების შემდეგ „სტოკთან“ ფრისთვის ბევრი გვაკრიტიკეს. ახლა დროა, სხვანაირად გავაკეთოთ. თქმა არ უნდა, თუკი გუნდს ცხრილის სათავეში დიდი ხნით სურს დარჩენა, მან თითქმის ყველას უნდა მოუგოს, რადგან „ჩელსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ კვალში ჩაგვიდგებიან.

**ბაბუნა ძედია**

## ჰარტმა ახალი გააფორმა

**„მანჩესტერ სიტის“** კარის დარაჯმა ჯო ჰარტმა „ქალაქელებთან“ ახალი, ხუთწლიანი ხელშეკრულება დადო. ჰარტი ამჟამად „ცისფერების“ ნომერ პირველი გოლკიპერია და ზაფხულში ინგლისის ნაკრებშიც იყო გამოძახებული.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჯომ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. იგი ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეკარედ მიმაჩნია. დარწმუნებული ვარ, რომ ჰარტი „სიტის“ ბევრ სარგებელს მოუტანს“ — ეს მანჩესტერელთა უელსელი დამრიგებლის, მარკ ჰიუზის სიტყვებია.

## ფრინგსმა გადაიფიქრა

**გერმანიის** ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ ნახევარმცველმა ტორსტენ ფრინგსმა ეროვნული გუნდიდან წასვლა გადაიფიქრა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი ალემანთა თავკაცის იოახიმ ლიოვის გადაწყვეტილებით იყო უკმაყოფილო, რომელმაც ფრინგსი მსოფლიოს ჩემპიონატის ორ უკანასკნელ შესარჩევ მატჩში სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

„ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის ბრძოლას გავაგრძელებ“ — განაცხადა ტორსტენმა.

## უიღბლო როზენტალი

**ბუნდესლიგის** „ჰანოვერის“ ნახევარმცველმა იან როზენტალმა ერთ-ერთი ვარჯიშისას ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და თავის კლუბს უახლოესი ექვსი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა მსგავსი ტრავმა 27 სექტემბერს „ბაიერნთან“ შეხვედრისას მიიღო და მისი მოშუშება სულ ახლახან შეძლო.

## გრიფონებს მაიკლი არ სურთ

**სერია A-ს** „ჯენოამ“ უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ „ნიუკასლის“ თავდამსხმელი მაიკლ ოუენი უახლოეს მომავალში, შესაძლოა, „ლუიჯი ფერარისზე“ გადმობარგდეს.

„ოუენის შესახებ არასდროს გვიფიქრია. ამჟამად ფეხბურთელების შეძენას საერთოდ არ ვაპირებთ“ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა ენრიკო პრეციოზიმ.

**არჩილ ძოწახიძე**

## ლარსონი მომავალზე ფიქრობს

**„სელტიკის“** და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ფორვარდ ჰენრიკ ლარსონს სურს, კარიერა ახალ გუნდში გააგრძელოს. შვედურ „ჰელსინგბორგთან“ 37 წლის ფეხბურთელის ხელშეკრულებას ვადა დეკემბერში ეწურება. „ტოტენჰემი“, „ევერტონი“, „ფეიენოორდი“ და პსვ ზაფხულშიც იყვნენ მზად შვედის გადასაბირებლად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს გუნდები იანვრის სატრანსფერო ფანჯარაშიც ძალიან იაქტიურებენ. „ვიცი, რომ კარგ ფორმაში ვარ და არ ვჩქარობ. ჩემს მიმართ დიდი ინტერესია, მაგრამ მხოლოდ ფულზე არ ვფიქრობ. ჩემთვის მთავარი წარმატებაა“ — განაცხადა ლარსონმა.

**გაგა ლობჟანიძე**

| X ტური |
| --- |
| **დღეს** |
| არმინია — კოტბუსი |
| კარლსრუე — შალკე |
| ვერდერი — ლევერკუზენი |
| ვოლფსბურგი — გლადბახი |
| **ხვალ** |
| ჰამბურგი — შტუტგარტი |
| აინტრახტი — ბაიერნი |
| ჰერტა — ჰანოვერი |
| ბოხუმი — ჰოფენჰაიმი |
| კიოლნი — დორტმუნდი |

# გერმანია

## ლევერკუზენის მუსიკალური ფრე

**„ლევერკუზენმა“** წინა პარასკევს „კიოლნს“ შინ მოუგო და ორი დღით ბუნდესლიგის ცხრილის თავში მოექცა, მაგრამ კვირას „ჰოფენჰაიმმა“ „ჰამბურგის“ დამარცხებით „ფარმაცევტებს“ პირველი ადგილი ისევ წაართვა.

დღეს „ლევერკუზენი“ ბრემენში „ვერდერს“ ესტუმრება და ფრეც ეყოფა საიმისოდ, რომ ისევ პირველ საფეხურზე გადაბრძანდეს, რადგან „ჰოფენჰაიმი“ ხვალ თამაშობს.

ჩემპიონთა ლიგის ორი მატჩის ჩათვლით, „ვერდერს“ ზედიზედ ხუთ შეხვედრაში არ მოუგია და ამ ხუთიდან ოთხი ფრედ დაასრულა.

„ფარმაცევტებს“ 2004 წლის მერე ბრემენიდან სამი ქულა არ წაუღიათ. მაშინ კი მათ „მუსიკოსები“ 6:2 გაანადგურეს.

მიჯრით სამი თამაშის წამგები და ბოლოადგილოსანი „კოტბუსი“ ბილეფელდში „არმინიას“ შეხვდება, სადაც ბოლოს 2003-ში მოიგო, როცა ეს გუნდები მეორე ბუნდესლიგაში იყვნენ.

„შალკეს“ საქმე კარგად ვერაა, რადგან გასულ ტურში შინ „არმინია“ ვერ დაამარცხა და მეშვიდე ადგილზე დაეშვა. „ხუმარებმა“ ბუნდესლიგაში ზედიზედ ოთხ მატჩში გამარჯვების გემო არ იციან.

„შალკე“ დღეს „კარლსრუეს“ ეწვევა, რომელმაც მიჯრით სამი თამაში წააგო და ქვედა ლიგისკენ მიექანება, საიდანაც შარშან გაზაფხულზე გადმოვიდა. „კარლსრუემ“ „შალკე“ შინ ბოლოს 1994 წელს დაამარცხა, „შალკეს“ კი კარლსრუეში 1996-ის მერე არ მოუგია.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების ბოლო რვა მატჩში გოლები ან ერთს გააქვს, ან მეორეს.

„მიონხენგლადბახს“ ახალმა მწვრთნელმა ჰანს მაიერმა პირველივე მატჩში ხელი დაატყო — გუნდმა წინა ტურში „კარლსრუეს“ შინ სძლია, დღეს კი „ვოლფსბურგს“ ჩააკითხავს, საიდანაც 2003 წლის შემდეგ გამარჯვებული არ დაბრუნებულა.

ზედიზედ სამი ფრის მერე, „დორტმუნდი“ სტუმრად „თხებს“ შეხვდება. დორტმუნდელებმა კიოლნში ბოლოს 2001 წელს მოიგეს.

ბუნდესლიგის სოფლელი ლიდერი „ჰოფენჰაიმი“, მიჯრით სამი ტურია, გზად ყველა მეტოქეს ანადგურებს. ამ სამ მატჩში გუნდმა ათი გოლი შეაგდო და ხვალაც არ უნდა გაუჭირდეს მოგება „ბოხუმთან“, რომელმაც 14 სექტემბრის მერე გამარჯვების გემო არ იცის. „ბოხუმმა“ ბოლო ხუთი მატჩიდან სამი წააგო და ორი ფრედ დაასრულა.

მოფერიანებული „ბაიერნი“ ფრანკფურტში „აინტრახტს“ ეთამაშება, რომელიც ბოლო ორ ტურში გონზე მოვიდა, ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო და მე-18 ადგილიდან დაიძრა.

1996 წლის შემდეგ „აინტრახტმა“ „ბაიერნი“ ფრანკფურტში ორჯერ დაამარცხა, მათ შორის ბოლოს — 2007-ის მარტში.

შინ წაუგებელი „ჰამბურგი“ „შტუტგარტს“ დაუხვდება, რომელთანაც ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხჯერ დამარცხდა, მათ შორის ორჯერ — სახლში.

„ჰანოვერი“ ბერლინში „ჰერტას“ ეწვევა, სადაც ბოლო ორი სტუმრობისას გოლი არ გაუტანია და 2003 წლიდან არ მოუგია.

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 ჰოფენჰაიმი | 9 | 6 | 1 | 2 | 24:14 | 10 | 19 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 13 | 4 | 2 | 0 | 2 | 14:12 | 2 | 6 |
| 2 ლევერკუზენი | 9 | 6 | 0 | 3 | 22:11 | 11 | 18 | 5 | 3 | 0 | 2 | 13:6 | 7 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 9 |
| 3 ჰამბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:15 | 0 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:11 | -3 | 7 |
| 4 შტუტგარტი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 5 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 5 ბაიერნი | 9 | 4 | 3 | 2 | 20:15 | 5 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 15:13 | 2 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 7 |
| 6 ჰერტა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:10 | 1 | 15 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 10 |
| 7 შალკე | 9 | 3 | 5 | 1 | 12:8 | 4 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 11 | 4 | 0 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 3 |
| 8 დორტმუნდი | 9 | 3 | 5 | 1 | 17:15 | 2 | 14 | 5 | 1 | 4 | 0 | 9:6 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:9 | -1 | 7 |
| 9 ვოლფსბურგი | 9 | 3 | 4 | 2 | 20:16 | 4 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 7 | 10 | 5 | 0 | 3 | 2 | 9:12 | -3 | 3 |
| 10 ვერდერი | 9 | 3 | 4 | 2 | 23:20 | 3 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 12:8 | 4 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 11:12 | -1 | 5 |
| 11 კიოლნი | 9 | 4 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 6 |
| 12 აინტრახტი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:14 | -4 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 |
| 13 კარლსრუე | 9 | 3 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | -4 | 3 |
| 14 ჰანოვერი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:17 | -7 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | -9 | 1 |
| 15 ბოხუმი | 9 | 1 | 4 | 4 | 12:15 | -3 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 5 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | -4 | 2 |
| 16 არმინია | 9 | 1 | 4 | 4 | 10:16 | -6 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:8 | -5 | 3 |
| 17 გლადბახი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | -8 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | -2 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 18 კოტბუსი | 9 | 1 | 2 | 6 | 5:14 | -9 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 4 |

**გაგა ხუციშვილი**

# ჰარი რამა!

## პირველი სასწაული ტოტენჰემში



**სასწაული,** ბატონო! ჰარი რედნაპმა „ტოტენჰემ ჰოთსპურს" პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოაპოვებინა და განაცხადა: „ამ გამოწვევაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი!"

დიახ, ესპანელი ხუანდე რამოსის მოხსნიდან რამდენიმე საათში „სფურზის" პრეზიდენტმა დენიელ ლივიმ ნახა, თუ როგორ დაამარცხა მისმა ახალმა მწვრთნელმა მშობლიურ „უაით ჰართ ლეინზე" „ბოლტონი" (2:0).

„ამ უეცარ შემოთავაზებაზე უარი რომ მეთქვა, საკუთარ თავს მთელი ცხოვრება ვერ ვაპატიებდი — თქვა მატჩის შემდეგ ბეჭებში გაშლილმა რედნაპმა — არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ბოლო ადგილზეა თუ არა, „ტოტენჰემი" ისეც და ისეც დიდი კლუბია. აქ დიდებულია სტადიონი, მაყურებელი და საერთოდ, ყველაფერი. მოკლედ, ეს შემოთავაზება ძალიან კარგი იყო საიმისოდ, უარი რომ მეთქვა".

და როგორი გეგმები აქვს „პორტსმუთიდან" გაქცეულ რედნაპს?

„უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის ფეხბურთელის ყიდვის ნებას სხვას არ მივცემ — აცხადებს ცნობილი ინგლისელი მწვრთნელი — ამის შესახებ დენიელ ლივის უკვე შევუთანხმდი. მე მას ვეტყვი, ვინ მინდა, ყიდვა კი უკვე მასზე იქნება. პირდაპირ ვამბობ: კრიშტიანუ რონალდუს მოთხოვნას არ ვაპირებ, მაგრამ იანვარში რამდენიმე გვარს ჩამოვუთვლი. გიმეორებთ, სხვას ჩემთვის ფეხბურთელების ყიდვის ნებას არ მივცემ".

სხვათა შორის, პრესკონფერენციას თავად ლივიც ესწრებოდა და მან დასძინა:

„დროა, გუნდის გაძღოლის ტრადიციულ მეთოდებს დავუბრუნდეთ. სათავეში მებრძოლი ადამიანი გვჭირდება. მე „სფურზის" ფანი ვარ და ჩემი საყვარელი გუნდის დღევანდელი პოზიცია არ მაკმაყოფილებს".

მოგეხსენებათ, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელობიდან ხუანდე რამოსი მარტო არ გაუშვიათ, მას მთელი მისი არაინგლისელი ამალა გააყოლეს გუსტავო პოიეტის ჩათვლით. მათ ადგილზე რედნაპმა თავისი ხალხი მიიყვანა. კერძოდ, თავის მოადგილედ ახალმა მწვრთნელმა კევინ ბონდი დანიშნა, ერთ-ერთი მწვრთნელის საქმე კი სურს „სფურზის" ყოფილ ფეხბურთელს, ტიმ შერვუდს ჩააბაროს.

და კიდევ, ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც „დეილი მეილმა" შეიტყო: ჰარი რედნაპს მთავარი სკაუტის თანამდებობაზე ინგლისის ნაკრების თავკაცის ასისტენტი, ფაბიო კაპელოს გუნდის წევრი ფრანკო ბალდინი შეუგულებია. ბალდინი ის კაცია, რომელსაც „რომასა" და „იუვენტუსში" ნაყოფიერი მუშაობით გაუთქვამს სახელი, მაგრამ ახლა ცოტა უხერხულ დღეშია, რადგან მისთვის „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადასვლა, შესაძლოა, ინგლისის ნაკრებიდან წასვლას ნიშნავდეს. ისე, „დეილი მეილი" გვარწმუნებს, რომ იტალიელმა სპეციალისტმა რედნაპის სურვილის შესახებ იცის და ისიც კარგად მოეხსენება, რომ ლონდონურ კლუბში მისი არგაშვების მიზნით ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია საგანგებო თათბირს გეგმავს — როგორც ჩანს, სინიორ ბალდინის ხელფასი ყველა ვარიანტში მოემატება.

ხოლო, რაც შეეხება ჰარი რედნაპის ყოფილ გუნდ „პორტსმუთს", ამ კლუბის ფინანსური საქმეები იმდენად ცუდად არის, რომ იანვარში მისტერ რედნაპი ფეხბურთელების წამოსაზიდად, შესაძლოა, სწორედ მას მიუბრუნდეს. ამბობენ, რომ ერთ-ერთი პირველი, ვისაც რედნაპი ხელს დაავლებს, ლასანა დიარა იქნებაო, თუმცა, რასაკვირველია, ყველაფერი მთლად ასე მარტივადაც არ არის. კერძოდ კი აი, რა: „სფურზის" ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი ლედლი კინგი კვირაში 45 ათას გირვანქას იღებს, ზემოხსენებული დიარას გასამრჯელო (გაჭირვებულ „პორტსმუთში") კი 65 ათასია...

„სფურზი" რედნაპის ხელიდან გამოგლეჯვისთვის „პორტსმუთს" დაახლოებით 5 მილიონ გირვანქას გადაუხდის. გარდა ამისა, ლონდონელებს გადასახდელი ექნებათ რამოსის და მასთან ერთად გაშვებული ხალხის დავალიანებაც — რამოსს, მშრალად თუ ვიანგარიშებთ, 2 მილიონი ერგება, მაგრამ კიდევ რაღაც-რუღაცებით ეს თანხა სამმდე ადის.

„ფეხბურთში გადამწყვეტი შედეგია და ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ კლუბები გადაწყვეტილებებს სწორედ ამის მიხედვით იღებენ. ახლა, უბრალოდ, უნდა გამოჩნდეს, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო „ტოტენჰემმა" — თქვა თავად ესპანელმა.

შეგახსენებთ, რომ ჰარი რედნაპის „ტოტენჰემ ჰოთსპურში" მისვლაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იყო, მაშინ, როდესაც დენიელ ლივი თანამდებობიდან ჰოლანდიელ მარტინ იოლს უშვებდა. მოგეხსენებათ, სწორედ იოლის ნაცვლად დაინიშნა ხუანდე რამოსი.

**ბაჩუნა ძიდია**

## არგენტინა

### კლაუსურა. XI ტური

სან მარტინი — არსენალი 1:0; ლანუსი — გოდოი 4:3; ველესი — კოლონი 0:3; ურაკანი — ტიგრე 0:3; ნიუელსი — ესტუდიანტესი 1:1; ინდეპენდიენტე — არგ. ხუნიორსი 1:1; ბოკა ხუნიორსი — როსარიო 2:1; რასინგი — სან ლორენსო 2:1; ხიმნასია ხ — რივერ პლეიტი 1:0; ხიმნასია ლპ — ბანფილდი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 11 | 8 | 1 | 2 | 18:6 | 25 |
| ტიგრე | 11 | 7 | 2 | 2 | 18:9 | 23 |
| ბოკა ხუნიორსი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:14 | 20 |
| ნიუელსი | 11 | 5 | 4 | 2 | 15:9 | 19 |
| ლანუსი | 11 | 5 | 3 | 3 | 21:18 | 18 |
| სან მარტინი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:8 | 16 |
| ველესი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:17 | 16 |
| ესტუდიანტესი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 15 |
| რასინგი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:12 | 15 |
| კოლონი | 11 | 3 | 5 | 3 | 17:15 | 14 |
| ბანფილდი | 11 | 3 | 5 | 3 | 12:13 | 14 |
| ინდეპენდიენტე | 11 | 3 | 5 | 3 | 10:11 | 14 |
| ხიმნასია ლპ | 11 | 3 | 5 | 3 | 10:11 | 14 |
| არსენალი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:20 | 14 |
| ხიმნასია ხ | 11 | 4 | 1 | 6 | 14:22 | 13 |
| გოდოი | 11 | 3 | 2 | 6 | 16:19 | 11 |
| არგ. ხუნიორსი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:16 | 11 |
| ურაკანი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:17 | 9 |
| რივერ პლეიტი | 11 | 1 | 5 | 5 | 11:15 | 8 |
| როსარიო | 11 | 2 | 2 | 7 | 11:17 | 8 |

## მექსიკა

### კლაუსურა. XIII ტური

ხაგუარესი — ტოლუკა 0:0; სან ლუისი — მონტერეი 2:0; პაჩუკა — მორელია 1:1; ტიგრესი — ნეკაქსა 1:1; ატლასი — სანტოსი 2:1; პუებლა — კრუს ასული 2:2; პუმასი — ინდიოსი 1:1; ამერიკა — ჩივასი 1:2. ატლანტე — ტეკოსი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლუისი | 14 | 8 | 3 | 3 | 21:16 | 27 |
| ატლანტე | 13 | 7 | 4 | 2 | 18:9 | 25 |
| ტიგრესი | 13 | 6 | 4 | 3 | 18:10 | 22 |
| ტეკოსი | 12 | 6 | 3 | 3 | 23:17 | 21 |
| მორელია | 14 | 5 | 6 | 3 | 20:14 | 21 |
| ჩივასი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:20 | 21 |
| კრუს ასული | 13 | 5 | 5 | 3 | 21:18 | 20 |
| პუმასი | 13 | 5 | 4 | 4 | 15:11 | 19 |
| სანტოსი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:17 | 19 |
| ტოლუკა | 14 | 4 | 6 | 4 | 19:16 | 18 |
| ატლასი | 14 | 5 | 3 | 6 | 20:21 | 18 |
| პაჩუკა | 13 | 4 | 4 | 5 | 19:19 | 16 |
| ამერიკა | 14 | 3 | 6 | 5 | 18:20 | 15 |
| ხაგუარესი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:21 | 15 |
| მონტერეი | 14 | 3 | 4 | 7 | 15:24 | 13 |
| პუებლა | 14 | 1 | 9 | 4 | 10:16 | 12 |
| ინდიოსი | 14 | 3 | 3 | 8 | 13:24 | 12 |
| ნეკაქსა | 14 | 1 | 7 | 6 | 13:23 | 10 |

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XIV ტური

ზალცბურგი — კაპფენბერგი 7:3; რიდი — აუსტრია 3:1; შტურმი — ალტახი 6:0; რაპიდი — მატერსბურგი 1:0; კერნტენი — ლინცერი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 14 | 9 | 3 | 2 | 36:18 | 30 |
| აუსტრია | 14 | 8 | 4 | 2 | 22:13 | 28 |
| შტურმი | 13 | 8 | 2 | 3 | 32:17 | 26 |
| რაპიდი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:13 | 23 |
| რიდი | 14 | 6 | 3 | 5 | 19:15 | 21 |
| ლინცერი | 14 | 7 | 0 | 7 | 20:24 | 21 |
| კერნტენი | 13 | 6 | 2 | 5 | 18:11 | 20 |
| მატერსბურგი | 14 | 3 | 1 | 10 | 16:32 | 10 |
| კაპფენბერგი | 14 | 2 | 3 | 9 | 15:33 | 9 |
| ალტახი | 14 | 2 | 0 | 12 | 13:40 | 6 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXV ტური

ბრანი — ტრომსიო 1:1; სტაბეკი — ვოლერენგა 6:2; ლილესტრიომი — რუსენბორგი 4:2; ვიკინგი — ჰამ კამი 3:0; ლინი — ალესუნდი 3:0; ბოდიო გლიმტი — სტრიომსგოდსეტი 3:2; მიოლდე — ფრედრიკსტადი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტაბეკი | 24 | 15 | 6 | 3 | 54:23 | 51 |
| ფრედრიკსტადი | 25 | 14 | 6 | 5 | 38:26 | 48 |
| ტრომსიო | 25 | 11 | 8 | 6 | 35:23 | 41 |
| რუსენბორგი | 25 | 11 | 6 | 8 | 39:31 | 39 |
| ვიკინგი | 25 | 11 | 6 | 8 | 36:29 | 39 |
| ბოდიო გლიმტი | 25 | 11 | 6 | 8 | 34:37 | 39 |
| ლინი | 25 | 10 | 5 | 10 | 36:34 | 35 |
| ბრანი | 25 | 7 | 9 | 9 | 35:36 | 30 |
| ვოლერენგა | 25 | 8 | 6 | 11 | 31:36 | 30 |
| მიოლდე | 24 | 6 | 10 | 8 | 38:39 | 28 |
| ლილესტრიომი | 25 | 7 | 7 | 11 | 30:37 | 28 |
| სტრიომსგოდსეტი | 25 | 7 | 5 | 13 | 30:42 | 26 |
| ალესუნდი | 25 | 6 | 4 | 15 | 26:42 | 22 |
| ჰამ კამი | 25 | 5 | 6 | 14 | 22:49 | 21 |

## სლოვენია

### I ლიგა. XIV ტური

ნაფტა — მარიბორი 1:1; რუდარი — კოპერი 5:1; დრავა — ლიუბლიანა 1:2; პრიმორიე — ცელიე 1:4; დომჟალე — ნოვა გორიცა 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 14 | 8 | 5 | 1 | 33:19 | 29 |
| ნაფტა | 14 | 7 | 3 | 4 | 16:14 | 24 |
| ცელიე | 14 | 6 | 5 | 3 | 21:14 | 23 |
| ლიუბლიანა | 14 | 6 | 3 | 5 | 21:19 | 21 |
| დომჟალე | 14 | 5 | 4 | 5 | 20:19 | 19 |
| ნოვა გორიცა | 14 | 6 | 1 | 7 | 20:25 | 19 |
| რუდარი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:18 | 18 |
| დრავა | 15 | 5 | 3 | 7 | 15:19 | 18 |
| პრიმორიე | 15 | 2 | 7 | 6 | 18:24 | 13 |
| კოპერი | 14 | 2 | 4 | 8 | 13:28 | 10 |

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XIII ტური

კოშიცე — ბანსკა ბისტრიცა 0:0; რუჟომბეროკი — ტატრანი 3:0; ტრნავა — სტრედა 1:1; ნიტრა — ზლატე მორავცე 1:2; სლოვანი — დუბნიცა 3:1; ჟილინა — არტმედია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟილინა | 12 | 8 | 3 | 1 | 25:6 | 27 |
| სლოვანი | 13 | 8 | 3 | 2 | 25:11 | 27 |
| კოშიცე | 13 | 7 | 4 | 2 | 21:15 | 25 |
| ტრნავა | 13 | 6 | 5 | 2 | 18:10 | 23 |
| სტრედა | 13 | 5 | 4 | 4 | 17:14 | 19 |
| რუჟომბეროკი | 13 | 4 | 5 | 4 | 16:14 | 17 |
| ტატრანი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:25 | 17 |
| ნიტრა | 13 | 4 | 1 | 8 | 12:26 | 13 |
| არტმედია | 13 | 3 | 3 | 7 | 15:20 | 12 |
| დუბნიცა | 13 | 3 | 2 | 8 | 16:22 | 11 |
| ბანსკა ბისტრიცა | 12 | 2 | 4 | 6 | 7:12 | 10 |
| ზლატე მორავცე | 13 | 2 | 4 | 7 | 6:19 | 10 |

## ხორვატია

### NHL. XII ტური

ზადარი — ჰაიდუკი 1:0; ზაგრები — ვარტექსი 0:3; ოსიეკი — სესვეტე 4:2; შიბენიკი — ინტერი 1:1; სლავენი — ციბალია 1:0. რიეკა — დინამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 7 | 2 | 2 | 22:12 | 23 |
| სლავენი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:13 | 23 |
| ჰაიდუკი | 12 | 6 | 2 | 4 | 16:14 | 20 |
| შიბენიკი | 12 | 5 | 3 | 4 | 16:13 | 18 |
| ვარტექსი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:18 | 17 |
| ზაგრები | 12 | 4 | 5 | 3 | 13:13 | 17 |
| რიეკა | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| ოსიეკი | 12 | 4 | 3 | 5 | 18:19 | 15 |
| სესვეტე | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | 15 |
| ციბალია | 12 | 4 | 2 | 6 | 11:20 | 14 |
| ინტერი | 12 | 2 | 5 | 5 | 20:23 | 11 |
| ზადარი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:18 | 8 |

## პოლონეთი

### I ლიგა. X ტური

პიასტი — რუხი 0:0; ბელხატუვი — პოლონია 1:2; იაგელონია — გდანსკი 2:0; კრაკოვია — ოდრა 0:0; გურნიკი — ლოძი 2:0; ლეხი — სლასკი 1:1; არკა — ბიტომი 1:3; ლეგია — ვისლა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 10 | 6 | 3 | 1 | 19:7 | 21 |
| ლეგია | 10 | 6 | 3 | 1 | 17:6 | 21 |
| ვისლა | 10 | 6 | 2 | 2 | 17:9 | 20 |
| ლეხი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:9 | 17 |
| სლასკი | 10 | 4 | 5 | 1 | 16:12 | 17 |
| ბელხატუვი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:11 | 16 |
| რუხი | 10 | 4 | 3 | 3 | 8:9 | 15 |
| გდანსკი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:11 | 14 |
| ბიტომი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:16 | 13 |
| არკა | 10 | 4 | 1 | 5 | 12:15 | 13 |
| ოდრა | 10 | 3 | 3 | 4 | 11:13 | 12 |
| იაგელონია | 10 | 2 | 4 | 4 | 8:12 | 10 |
| პიასტი | 10 | 2 | 2 | 6 | 6:12 | 8 |
| გურნიკი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:13 | 8 |
| ლოძი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:15 | 8 |
| კრაკოვია | 10 | 1 | 4 | 5 | 5:13 | 7 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XXVI ტური

ინტერი — იარო 2:0; ჰიკ — ლაჰტი 0:1; მარიეჰამნი — ჰონკა 3:2; კტპ — ჰაკა 0:2; კუოპიო — როვანიემი 0:1; ტამპერე — მიუპა 0:2; ვაასა — ტურკუ 2:3

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 26 | 15 | 9 | 2 | 46:12 | 54 |
| ჰონკა | 26 | 15 | 5 | 6 | 46:23 | 50 |
| ლაჰტი | 26 | 15 | 3 | 8 | 44:24 | 48 |
| ჰიკ | 26 | 14 | 5 | 7 | 47:29 | 47 |
| მიუპა | 26 | 11 | 9 | 6 | 33:21 | 42 |
| ტურკუ | 26 | 12 | 6 | 8 | 45:36 | 42 |
| ტამპერე | 26 | 9 | 9 | 8 | 41:34 | 36 |
| ჰაკა | 26 | 10 | 5 | 11 | 31:37 | 35 |
| იარო | 26 | 10 | 5 | 11 | 36:47 | 35 |
| როვანიემი | 26 | 8 | 6 | 12 | 31:37 | 30 |
| ვაასა | 26 | 6 | 11 | 9 | 18:29 | 29 |
| მარიეჰამნი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:40 | 26 |
| კუოპიო | 26 | 4 | 7 | 15 | 26:56 | 19 |
| კტპ | 26 | 1 | 5 | 20 | 14:57 | 8 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. VIII ტური

ბეშიქთაში — სივა 1:1; დენიზლი — გენჩლერი 2:2; ანკარა — ქოჯაელი 4:0; ფენერბაჰჩე — ბურსა 5:2; კონია — ისთანბული 1:2; ანკარაგიუჯიუ — ქაისერი 1:3; ანთალია — ჰაჩეტეპე 1:1; ტრაბზონი — გაზიანთეფი 1:1; ესქიშეჰირი — გალათასარაი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 8 | 5 | 3 | 0 | 15:6 | 18 |
| ტრაბზონი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:9 | 17 |
| ანკარა | 8 | 5 | 1 | 2 | 15:7 | 16 |
| სივა | 8 | 4 | 3 | 1 | 13:7 | 15 |
| ბურსა | 8 | 5 | 0 | 3 | 14:14 | 15 |
| გალათასარაი | 8 | 4 | 2 | 2 | 19:10 | 14 |
| ქაისერი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:5 | 14 |
| გაზიანთეფი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | 14 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 4 | 0 | 4 | 16:13 | 12 |
| ესქიშეჰირი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| ქონია | 8 | 3 | 1 | 4 | 10:14 | 10 |
| ისთანბული | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | 9 |
| გენჩლერი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:13 | 9 |
| დენიზლი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | 8 |
| ჰაჩეტეპე | 8 | 2 | 2 | 4 | 6:11 | 8 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | 5 |
| ანთალია | 8 | 0 | 2 | 6 | 10:18 | 2 |
| ქოჯაელი | 8 | 0 | 1 | 7 | 7:20 | 1 |

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XII ტური

არსენალი — ვორსკლა 0:0; ზარია — ლვოვი 1:1; კარპატი — მეტალურგი ზ 0:0; ტავრია — დინამო 1:3; კრივბასი — ილიჩევეცი 0:0; ჩერნომორეცი — დნიპრო 1:1; ხარკოვი — შახტარი 0:0; მეტალურგი დ — მეტალისტი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 10 | 1 | 1 | 31:6 | 31 |
| მეტალურგი დ | 12 | 8 | 2 | 2 | 17:7 | 26 |
| მეტალისტი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:9 | 22 |
| ვორსკლა | 12 | 5 | 5 | 2 | 13:9 | 20 |
| მეტალურგი ზ | 12 | 5 | 5 | 2 | 11:8 | 20 |
| დნიპრო | 12 | 4 | 5 | 3 | 10:9 | 17 |
| ზარია | 12 | 4 | 5 | 3 | 13:16 | 17 |
| შახტარი | 12 | 3 | 7 | 2 | 16:11 | 16 |
| ჩერნომორეცი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:15 | 14 |
| კრივბასი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | 14 |
| კარპატი | 12 | 2 | 6 | 4 | 8:11 | 12 |
| არსენალი | 12 | 2 | 6 | 4 | 8:12 | 12 |
| ილიჩევეცი | 12 | 3 | 1 | 8 | 7:18 | 10 |
| ლვოვი | 12 | 2 | 3 | 7 | 5:13 | 9 |
| ხარკოვი | 12 | 0 | 7 | 5 | 7:17 | 7 |
| ტავრია | 12 | 1 | 4 | 7 | 11:23 | 7 |

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. VII ტური

ლარისა — პანთრაკიკოსი 1:2; პაოკ — ლევადიაკოსი 3:1; ტრიპოლისი — ოფი 2:2; ქსანთი — პანსერაიკოსი 2:1; პანათინაიკოსი — ირაკლისი 2:2; ერგოტელისი — პანიონიოსი 2:5; ფილისი — აეკ 3:3; არისი — ოლიმპიაკოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:3 | 16 |
| პაოკ | 7 | 4 | 3 | 0 | 8:2 | 15 |
| ქსანთი | 7 | 4 | 2 | 1 | 5:2 | 14 |
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| ლარისა | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| პანიონიოსი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 11 |
| აეკ | 7 | 2 | 4 | 1 | 10:10 | 10 |
| ერგოტელისი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 |
| არისი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:8 | 9 |
| ლევადიაკოსი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:8 | 8 |
| ტრიპოლისი | 7 | 1 | 4 | 2 | 5:6 | 7 |
| პანსერაიკოსი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | 7 |
| პანთრაკიკოსი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:9 | 7 |
| ირაკლისი | 7 | 0 | 4 | 3 | 4:7 | 4 |
| ოფი | 7 | 0 | 4 | 3 | 8:13 | 4 |
| ფილისი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:12 | 4 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXVI ტური

ხიმკი — ლუჩ-ენერგია 3:1; რუბინი — კრილია 3:0; სპარტაკი — ტერეკი 3:1; შინიკი — ნალჩიკი 2:1; ამკარი — ლოკომოტივი 0:0; ტომი — ზენიტი 1:1; მოსკვა — სატურნი 0:0; დინამო — ცსკა :

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 26 | 17 | 6 | 3 | 40:16 | 57 |
| ცსკა | 25 | 13 | 8 | 4 | 42:20 | 47 |
| დინამო | 25 | 12 | 8 | 5 | 34:25 | 44 |
| ამკარი | 26 | 11 | 8 | 7 | 25:20 | 41 |
| სპარტაკი | 26 | 10 | 10 | 6 | 39:33 | 40 |
| ზენიტი | 25 | 10 | 9 | 6 | 51:32 | 39 |
| კრილია | 26 | 9 | 11 | 6 | 36:25 | 38 |
| ლოკომოტივი | 25 | 9 | 8 | 8 | 28:28 | 35 |
| მოსკვა | 26 | 8 | 10 | 8 | 27:28 | 34 |
| ნალჩიკი | 26 | 8 | 6 | 12 | 27:33 | 30 |
| ტერეკი | 26 | 8 | 6 | 12 | 21:36 | 30 |
| სატურნი | 25 | 6 | 9 | 10 | 21:25 | 27 |
| ტომი | 26 | 7 | 6 | 13 | 21:34 | 27 |
| ხიმკი | 26 | 5 | 8 | 13 | 30:48 | 23 |
| ლუჩ-ენერგია | 26 | 3 | 11 | 12 | 22:45 | 20 |
| შინიკი | 25 | 4 | 6 | 15 | 24:40 | 18 |

# სარჩიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 61 | ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 1.95 | 3.30 | 3.85 | 1.22 | 1.29 | 1.77 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:55 | 50 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.45 | 3.90 | 8.00 | 1.05 | 1.22 | 2.62 |
| 23:55 | 51 | არსენალი-ტოტენჰემი 0:1 | 2.20 | 3.50 | 2.60 | | | |
| 23:55 | 52 | ბოლტონი-ევერტონი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 23:45 | 53 | ჰალი-ჩელსი | 7.00 | 3.80 | 1.47 | 2.46 | 1.21 | 1.05 |
| 23:45 | 54 | სტოკი-სანდერლენდი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 23:55 | 55 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.25 | 5.50 | 11.00 | 1.01 | 1.12 | 3.66 |
| 23:55 | 56 | მიდლსბრო-სიტი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 23:45 | 57 | ასტონ ვილა-ბლექბერნი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 23:45 | 58 | ფულემი-უიგანი | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |
| 23:55 | 59 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| 23:55 | 60 | ლივერპული-პორტსმუთი 0:1 | 2.10 | 3.50 | 2.85 | | | |
| | | **1 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 62 | ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 22:30 | 63 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3.70 | 3.25 | 2.00 | 1.73 | 1.29 | 1.23 |
| 20:00 | 64 | სტოკი-არსენალი | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 20:00 | 65 | ჩელსი-სანდერლენდი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 20:00 | 67 | მიდლსბრო-ვესტ ჰემი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 20:00 | 68 | მანჩესტერი-ჰალი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 17:45 | 69 | ევერტონი-ფულემი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 20:00 | 70 | პორტსმუთი-უიგანი | 1.75 | 3.30 | 4.45 | 1.14 | 1.25 | 1.89 |
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 71 | ბოლტონი-სიტი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:55 | 66 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:55 | 72 | ქპრ-ბირმინგემი | 2.65 | 3.25 | 2.45 | 1.45 | 1.27 | 1.39 |
| 23:45 | 73 | უოტფორდი-პლიმუთი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 74 | საუთჰემპტონი-ქოვენტრი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 23:45 | 75 | ბრისტოლი-შეფილდი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 23:45 | 76 | ვულვერჰემპტონი-სუონსი | 1.75 | 3.00 | 5.00 | 1.10 | 1.29 | 1.87 |
| 23:45 | 77 | ბარნსლი-რედინგი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 23:45 | 78 | კარდიფი-ბლეკპული | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 23:55 | 79 | კრისტალ პალასი-ნოტინგემი | 1.65 | 3.45 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.04 |
| 23:45 | 80 | დერბი-ნორვიჩი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 23:45 | 81 | დონკასტერი-ბერნლი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 23:45 | 82 | იფსვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 3.25 | 4.15 | 1.17 | 1.27 | 1.82 |
| 23:45 | 83 | პრესტონი-უოტფორდი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 96 | საუთენდი-ლიდსი | 3.00 | 3.30 | 2.30 | 1.57 | 1.30 | 1.35 |
| 23:45 | 97 | სტოკპორტი-ტრანმერი | 2.35 | 3.30 | 2.90 | 1.37 | 1.29 | 1.54 |
| 23:45 | 98 | უოლსოლი-სვინდონი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 23:45 | 99 | ბრაიტონი-ლესტერი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 23:45 | 100 | კარლაილი-ჰარტლპული | 2.30 | 3.30 | 2.90 | 1.35 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 101 | ქრიუ-ჰადერსფილდი | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 102 | პიტერბორო-იოვილი | 1.85 | 3.40 | 4.10 | 1.19 | 1.27 | 1.85 |
| 23:45 | 103 | ლეიტონი-დონსი | 2.90 | 3.25 | 2.30 | 1.53 | 1.28 | 1.34 |
| 23:45 | 104 | მილუოლი-ჰერეფორდი | 1.55 | 3.85 | 5.85 | 1.10 | 1.22 | 2.32 |
| 23:45 | 105 | ნორთჰემპტონი-კოლჩესტერი | 2.20 | 3.30 | 3.10 | 1.32 | 1.28 | 1.59 |
| 23:45 | 106 | ოლდჰემი-სქანთორპი | 2.40 | 3.30 | 2.75 | 1.38 | 1.28 | 1.50 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 120 | როთერჰემი-დარლინგტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 121 | შრუსბერი-ბარნეტი | 1.55 | 3.60 | 5.65 | 1.08 | 1.21 | 2.19 |
| 23:45 | 122 | ალდერშოტი-პორტ ვეილი | 2.25 | 3.30 | 3.00 | 1.33 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 123 | უიკომბი-მაკლსფილდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 23:45 | 124 | ბრედფორდი-ბერი | 2.00 | 3.25 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.70 |
| 23:45 | 125 | ჩესტერი-ბრენტფორდი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 23:45 | 126 | დაგენჰემი-გრიმსბი | 1.75 | 3.50 | 4.30 | 1.16 | 1.24 | 1.92 |
| 23:45 | 127 | ექსეტერი-ჩესტერფილდი | 2.00 | 3.30 | 3.60 | 1.24 | 1.28 | 1.72 |
| 23:45 | 128 | ლინკოლნი-ჯილინგემი | 2.30 | 3.30 | 3.00 | 1.35 | 1.30 | 1.57 |
| 23:45 | 129 | ლუტონი-ბორნმუთი | 2.20 | 3.30 | 3.10 | 1.32 | 1.28 | 1.59 |
| 23:45 | 130 | მორკემბი-აკრინგტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 131 | ნოტსი-როჩდეილი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **ინგლისი. კონფერენცია** | | | | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 152 | სოლსბერი-ქროული | 2.65 | 3.25 | 2.35 | 1.45 | 1.24 | 1.36 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 1 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.10 | 3.30 | 3.50 | 1.28 | 1.31 | 1.69 |
| 23:00 | 2 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.50 | 3.80 | 6.20 | 1.07 | 1.20 | 2.35 |
| 23:00 | 3 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი 0:1 | 2.30 | 3.60 | 2.50 | | | |
| 23:00 | 4 | კარლსრუე-შალკე | 3.80 | 3.20 | 1.90 | 1.73 | 1.26 | 1.19 |
| 23:00 | 5 | არმინია-ენერგი | 1.95 | 3.25 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.69 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 6 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.05 | 3.20 | 3.55 | 1.24 | 1.29 | 1.68 |
| 23:00 | 7 | აინტრახტი-ბაიერნი | 5.55 | 3.60 | 1.55 | 2.18 | 1.21 | 1.08 |
| 23:00 | 8 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| 23:00 | 9 | ბოხუმი-ჰოფენჰაიმი | 2.95 | 3.25 | 2.25 | 1.54 | 1.27 | 1.32 |
| 23:00 | 10 | კიოლნი-დორტმუნდი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 217 | ჰანზა-ფიურტი | 1.80 | 3.30 | 3.95 | 1.16 | 1.23 | 1.79 |
| 20:30 | 220 | ალემანია-ალენი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 20:30 | 221 | ვეენი-ინგოლშტადტი | 2.20 | 3.20 | 3.05 | 1.30 | 1.27 | 1.56 |
| 20:30 | 224 | ავსბურგი-ფრანკფურტი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 218 | დუისბურგი-ზტ.პაული | 1.55 | 3.60 | 5.60 | 1.08 | 1.21 | 2.19 |
| 20:30 | 219 | ფრაიბურგი-მაინცი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 20:30 | 222 | მიუნხენი-კობლენცი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 20:30 | 223 | კაიზერსლაუტერნი-ოსნაბრიუკი | 1.45 | 3.80 | 6.55 | 1.04 | 1.18 | 2.40 |
| 20:30 | 225 | ნიურნბერგი-ობერჰაუზენი | 1.45 | 3.80 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.35 |
| | | **გერმანია. III ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 237 | კარლ ცაისი-ბურგჰაუზენი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 22:00 | 238 | აუე-ერფურტი | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 22:00 | 243 | კიკერსი-უნიონი | 3.10 | 3.10 | 2.05 | 1.54 | 1.23 | 1.23 |
| 22:00 | 244 | პადერბორნი-ვუპერტალი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 235 | ვერდერი II-დინამო | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 23:00 | 236 | ალენი-ბრაუნშვაიგი | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 23:00 | 239 | რეგენსბურგი-ემდენი | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 240 | ზანდჰაუზენი-ბაიერნი II | 1.90 | 3.10 | 3.40 | 1.17 | 1.21 | 1.62 |
| 23:00 | 241 | უნტერჰახინგი-შტუტგარტი II | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:00 | 242 | დიუსელდორფი-ოფენბახი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:30 | 319 | ტორინო-ატალანტა | 2.35 | 2.90 | 3.20 | 1.29 | 1.35 | 1.52 |
| 23:30 | 320 | ფიორენტინა-ინტერი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 23:30 | 322 | რომა-სამპდორია | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 23:30 | 323 | კიევო-ლაციო | 3.10 | 2.90 | 2.30 | 1.49 | 1.32 | 1.28 |
| 23:30 | 324 | ნაპოლი-რეჯინა | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 23:30 | 326 | კატანია-უდინეზე | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 23:30 | 327 | მილანი-სიენა | 1.25 | 4.90 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.28 |
| 23:30 | 328 | ბოლონია-იუვენტუსი | 4.30 | 3.25 | 1.90 | 1.85 | 1.31 | 1.19 |
| 23:30 | 329 | ლეჩე-პალერმო | 2.50 | 3.00 | 2.85 | 1.36 | 1.33 | 1.46 |
| 23:30 | 330 | ჯენოა-კალიარი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:30 | 342 | ვიჩენცა-მოდენა | 1.70 | 3.10 | 5.30 | 1.09 | 1.28 | 1.95 |
| 23:30 | 343 | ფროზინონე-პიაჩენცა | 2.10 | 2.90 | 3.75 | 1.21 | 1.34 | 1.63 |
| 23:30 | 344 | სასუოლო-ემპოლი | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| 23:30 | 345 | ჩიტადელა-ბარი | 3.10 | 2.85 | 2.25 | 1.48 | 1.30 | 1.25 |
| 23:30 | 346 | რიმინი-მანტოვა | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| 23:30 | 347 | ბრეშა-სალერნიტანა | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 23:30 | 348 | პიზა-აველინო | 1.60 | 3.20 | 5.80 | 1.06 | 1.25 | 2.06 |
| 23:30 | 349 | ანკონა-ლივორნო | 2.85 | 2.80 | 2.55 | 1.41 | 1.34 | 1.33 |
| 23:30 | 350 | პარმა-ტრიესტინა | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 23:30 | 351 | ალბინოლეფე-ასკოლი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 23:30 | 352 | გროსეტო-ტრევიზო | 1.65 | 3.20 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:55 | 447 | ბორდო-ლე ავრი | 1.40 | 4.30 | 8.50 | 1.05 | 1.20 | 2.85 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 448 | კაენი-ნიცა | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 22:00 | 449 | გრენობლი-ლილი | 2.60 | 2.90 | 3.00 | 1.37 | 1.39 | 1.47 |
| 22:00 | 450 | ლე მანი-ოსერი | 1.90 | 3.00 | 4.90 | 1.16 | 1.36 | 1.86 |
| 22:00 | 452 | მონაკო-ნანსი | 2.10 | 3.00 | 3.65 | 1.23 | 1.33 | 1.64 |
| 22:00 | 453 | ნანტი-მარსელი | 3.45 | 3.10 | 2.25 | 1.63 | 1.36 | 1.30 |
| 22:00 | 454 | პსჟ-ტულუზა | 1.90 | 3.11 | 5.00 | 1.17 | 1.37 | 1.91 |
| 23:55 | 455 | სტ.ეტიენი-ლორიანი | 1.70 | 3.20 | 5.50 | 1.11 | 1.29 | 2.02 |
| 22:00 | 456 | სოშო-ლიონი | 4.80 | 3.20 | 1.70 | 1.91 | 1.25 | 1.11 |
| 22:00 | 458 | ვალენსიენი-რენი | 2.60 | 3.00 | 2.70 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:30 | 482 | ბრიუგე-ვარეგემი | 1.40 | 4.20 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.55 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 504 | ვოლენდამი-ტილბურგი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 23:00 | 505 | როდა-ალკმაარი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 23:00 | 507 | დენ ჰააგი-პსვ | 4.65 | 3.50 | 1.65 | 1.99 | 1.21 | 1.12 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 509 | ნაიმეგენი-გრონინგენი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 23:00 | 511 | ბრედა-ტვენტე | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 23:00 | 513 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.35 | 4.25 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.77 |
| 23:00 | 514 | ჰერაკლესი-აიაქსი | 4.85 | 3.50 | 1.65 | 2.03 | 1.23 | 1.12 |
| 23:00 | 515 | სპარტა-ფეიენოორდი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 516 | გრაფსხაპი-უტრეხტი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | **საბერძნეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 557 | პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 1.25 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.52 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 667 | გაის-ჰელსინგბორგი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | **ირლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 45 | ათლონე-სპორტინგი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | **არგენტინა. კლაუსურა** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 01:20 | 697 | ესტუდიანტესი-ლანუსი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 23:10 | 698 | სან ლორენსო-ხიმნასია ლპ | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |
| 03:30 | 699 | გოდოი-ურაკანი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 21:00 | 700 | ბანფილდი-ბოკა ხუნიორსი | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| 02:20 | 701 | ტიგრე-ინდეპენდენტე | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 21:00 | 702 | როსარიო-ხიმნასია ჟ | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 05:30 | 704 | ველესი-სან მარტინი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:10 | 705 | რივერ პლეიტი-ნიუელსი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 03:00 | 696 | არსენალი-რასინგი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 02:30 | 703 | კოლონი-არხენტინოსი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | **ჩილე. აპერტურა** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 02:30 | 47 | უნ ჩილე-უნ კატოლიკა | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 39 | ბორნმუთი-სტივენიჯი | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 22:45 | 40 | ნორთვიჩი-ტელფორდი | 2.00 | 3.30 | 3.25 | 1.24 | 1.23 | 1.63 |
| 22:45 | 41 | ებსფლითი-უოკინგი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |
| 22:45 | 42 | მენსფილდი-იორკი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 22:45 | 43 | ოქსფორდი-რექსჰემი | 4.20 | 3.70 | 1.65 | 1.96 | 1.18 | 1.14 |
| 22:45 | 44 | ფორესტ გრინი-ქეთერინგი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 30 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 1.50 | 3.80 | 5.80 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 22:45 | 31 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:45 | 32 | რეინჯერსი-ჰამილტონი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 22:45 | 34 | კილმარნოკი-სელტიკი | 6.00 | 3.60 | 1.55 | 2.25 | 1.23 | 1.08 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 775 | ვორმლა-ადმირა | 6.50 | 4.10 | 1.40 | 2.51 | 1.15 | 1.04 |
| 22:00 | 776 | ლუსტენაუ-ავსტრია | 4.60 | 3.60 | 1.65 | 2.01 | 1.21 | 1.13 |
| 22:00 | 777 | რაპიდი მ-მატერსბურგი | 3.60 | 3.40 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |
| 22:00 | 778 | რიდი-რაპიდი | 2.90 | 3.00 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 |
| 22:00 | 779 | ზალცბურგი-ავსტრია მ | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 22:00 | 780 | ველსი-კაპფენბერგი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 22:00 | 781 | ვინერბერგერი-ნოიშტადტი | 5.50 | 3.60 | 1.50 | 2.17 | 1.17 | 1.05 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 782 | პინკა-შტურმი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ქართველები ევროპაში სენსაციებით იგებენ

**ასეთი წარმატებული სათამაშო დღეები იშვიათად აქვთ ხოლმე ქართველ ლეგიონერ კალათბურთელებს, როგორიც გასულ უქმეებზე ჰქონდათ.**

**ევროპის სამ სხვადასხვა ჩემპიონატში ხუთმა ჩვენიანმა ითამაშა, ოთხმა სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში და, რაც მთავარია, ყველამ გამარჯვება მოპოვა**



ვიქტორ სანიკიძე



ვლადიმერ ბოისა

### ესპანეთი

**ვივემენორკა 70:62 პამესა**

ესპანეთის ჩემპიონატში ძალიან ცუდი სტარტის შემდეგ, როდესაც ვლადიმერ ბოისას გუნდმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო, როგორც იქნა, გამარჯვების დროც დადგა. გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ ვალენსიას „პამესასთან" შეხვედრაში მენორკელებმა იმარჯვეს.

ამაში თავისი წვილი ვლადიმერ ბოისამაც შეიტანა, რომელიც სასტარტო ხუთეულში არ იყო, მაგრამ მთლიანობაში დროც ნორმალურად გაოიყენა და თვითონაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

რაც მთავარია, ამ გამარჯვებით ბოისამ და მისმა გუნდმა ოდნავ გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. ამ ტურის წინ ხომ „მენორკა" და ტაირონ ელისის „კახასოლი" მოუგებლად და ოთხი მარცხით სატურნირო ცხრილის ფსკერზე იყო.

ვლადიმერ ბოისა: *21 წუთი, 9 ქულა, 4 მოხსნა, 2 პერსონალური შენიშვნა, 7-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო.*

**კახასოლი 116:109 რეალი**

ნამდვილი სენსაცია გამოაცხვეს ტაირონ ელისმა და მისმა სევილიელმა თანაგუნდელებმა. ოთხ ტურში მოუგებელმა „კახასოლმა" გასვლაზე ყველასთვის მოულოდნელად დაამარცხა ევროლიგის ბობოლა და ესპანური კალათბურთის ერთ-ერთი გრანდი მადრიდის „რეალი".

ამ შეხვედრის ძირითადი დრო 99:99 დასრულდა, შემდეგ კი სევილიელებმა შესანიშნავად ითამაშეს და მატჩიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

თავისი გუნდის გამარჯვებაში დიდი როლი საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა ტაირონ ელისმა შეასრულა, რომელმაც 22 წუთში 15 ქულა ჩაუგდო მეტოქეს.

ტაირონ ელისი: *22 წუთი, 15 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 4 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი, 8-დან 5 საჯარიმო.*

### უკრაინა

**კიევი 70:60 პოლტავა**

ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში იმარჯვა უკრაინის ჩემპიონატში „კიევმა", რომლის რიგებშიც მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობს.

დედაქალაქელებმა გასვლით მატჩში ძალების დაუძაბავად დაამარცხეს „პოლტავა", რის შემდეგაც კვლავ განაგრძობენ სატურნირო ცხრილის უსტაბაშობას.

მარკოიშვილი ტრავმის შემდეგ, რის გამოც გამოტოვა სანაკრებო მატჩები, ვერ ახერხებს ოპტიმალური თამაშის ჩვენებას. ჯერ ისევ არ არის იმ ფორმაში, რითაც გასულ სეზონში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. თუმც ისიც ფაქტია, რომ ნელ-ნელა ამ პრობლემბეს მოევლება. რაც მთავარია, გუნდის ხელმძღვანელობა ქართველს ბოლომდე ენდობა.

მანუჩარ მარკოიშვილი: *20 წუთი, 6 ქულა, 1 ჩაჭრა, 1 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 2 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო.*

### ესტონეთი

**როკი 87:58 ვალგა ველგი**

როგორც იქნა, გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ტარტუს „როკმა" დაიწყო ესტონეთის ჩემპიონატში თამაში. ახლა მათ პირველი მატჩი გამართეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, იოლად მოიგეს ეს გასვლითი დაპირისპირება.

ამჯერად შედარებით ნაკლები სათამაშო დრო ჰქონდა გიორგი ცინცაძეს, რომელიც სასტარტო ხუთეულში იდგა, თუმც გუნდის ხელმძღვანელებმა დაასვენეს.

სამაგიეროდ, მოედანზე თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი დრო გაატარა ვიქტორ სანიკიძემ. სწორედ სანიკიძე გახდა კიდეც „როკერთა" საუკეთესო მექულე ამ მატჩში. საერთოდ, სანიკიძე ძალიან ადვილად შეეწყო გუნდს და ნელ-ნელა ერთ-ერთი შეუცვლელი მოთამაშეც ხდება. ის და ცინცაძე კი შესანიშნავ დუეტს ქმნიან.

ვიქტორ სანიკიძე: *23 წუთი, 18 ქულა, 4 მოხსნა, 2 დაფარება, 5 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 5-დან 4 ორქულიანი, 5-დან 3 სამქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო.*

გიორგი ცინცაძე: *18 წუთი, 9 ქულა, 1 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა, 4 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო.*

**გიორგი არაბული**

ფრენბურთი

# ჯერ განაცხადი, მერე ნაკრები



ქალ ფრენბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი გასულ კვირას დაიწყო და ორ წრედ ჩატარდება.

ახალ სეზონში, უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ხუთი გუნდი ითამაშებს და აქედან არცერთია თბილისური კლუბი. არადა, ბოლო დროს თბილისის „თბილისი" მაგრად ყოჩაღობდა და გასულ სეზონში საქართველოს მუდმივ ჩემპიონს დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს" ნერვებიც დააწყვიტა, თუმც ჩემპიონობა მაინც ვერ მოიპოვა.

სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ვიცე-ჩემპიონი „თბილისი" დაიშალა, მისი მწვრთნელი ნინო მლებრიშვილი კი ქალთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

ჩვენი ნაკრები წლეულს პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს და ნინო მლებრიშვილს სანაკრებო კანდიდატურები ჩემპიონატის პირველი წრის მიხედვით უნდა შეერჩია. მლებრიშვილს უკვე შერჩეული ჰყავს კანდიდატები და საბოლოო შემადგენლობას დღეს ან ხვალ იტყვის. იქამდე კი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადებს გთავაზობთ, საიდანაც უნდა შეირჩეს კიდეც ნაკრების ბირთვი.

**ბექან ჩხეიძე**

**საქართველოს ფრენბურთელთა მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდების განაცხადი**

**ჯიკო** (დიდი ჯიხაიში)

| | |
|---|---|
| 1. ნონა ლვინჯილია | 1975 |
| 2. ნელი დათუკაშვილი | 1985 |
| 3. ირინე შენგელია | 1990 |
| 4. ირინე კახაძე | 1990 |
| 5. ციცინო ვაშაკიძე | 1994 |
| 6. ია შანიძე | 1992 |
| 7. ცარინა სანაძე | 1996 |
| 8. თეა მძელური | 1988 |
| 9. მარიამ ყიფშიძე | 1992 |
| 10. თამთა დავითულიანი | 1987 |
| 11. ნინო მეტრეველი | 1967 |
| 12. თინიკო მიქაძე | 1988 |

*მწვრთნელი:* ნუგზარ მიქაძე

**სიონი** (ბოლნისი)

| | |
|---|---|
| 1. მარი ქობულაძე | 1979 |
| 2. ქეთი ყორყოლიანი | 1992 |
| 3. მარი ყორყოლიანი | 1992 |
| 4. სოფო ჯანაძე | 1991 |
| 5. ნათია ბჟალავა | 1992 |
| 6. მაგდა მეტივიშვილი | 1992 |
| 7. ნათია ძამამია | 1992 |
| 8. ნანა ანდაშვილი | 1994 |
| 9. ელა კაზარიანი | 1991 |
| 10. იანა ზადიმიჩენკო | 1992 |

*მწვრთნელი:* დავით ჯანაძე

**დუშეთი**

| | |
|---|---|
| 1. ნატო შუშიაშვილი | 1984 |
| 2. თამარ დიდებაშვილი | 1989 |
| 3. სოფო ბეწუაშვილი | 1989 |
| 4. მაია ყორიაული | 1989 |
| 5. მარინა მანგიაშვილი | 1993 |
| 6. სოფო კარიაული | 1993 |
| 7. მარიამ ბუხუნიშვილი | 1996 |
| 8. ეკა დიდებაშვილი | 1991 |

*მწვრთნელი:* ოთარ ჭინჭარაული

**ქუთაისი**

| | |
|---|---|
| 1. თამარ ხოხიაშვილი | 1989 |
| 2. ინგა ჩაკვეტაძე | 1990 |
| 3. მაია ბუხაიძე | 1992 |
| 4. თამუნა კვარაცხელია | 1992 |
| 5. თეონა ეფრემიძე | 1994 |
| 6. თამთა ლეჟავა | 1992 |
| 7. ანი ცინცაძე | 1995 |
| 8. გალია ფეტისოვა | 1992 |
| 9. სალომე ბერეჩიკაძე | 1994 |
| 10. ვიკა წაქაძე | 1996 |
| 11. თაკო კოხრეიძე | 1995 |

*მწვრთნელი:* ქეთევან ლებანიძე

**ბათუმი**

| | |
|---|---|
| 1. ანა კოსტავა | 1992 |
| 2. თიკა გოგიტიძე | 1992 |
| 3. სოფო ჭეიშვილი | 1992 |
| 4. ანა ბერძენიშვილი | 1994 |
| 5. ესმა შამილაშვილი | 1993 |
| 6. მარიამ ბალანჩივაძე | 1994 |
| 7. ქრისტინე თურმანიძე | 1994 |
| 8. ნინო მუყასაშვილი | 1991 |
| 9. ნათია ბანძელაძე | 1990 |

*მწვრთნელი:* ხათუნა გიორგაძე

ჩოგბურთი



# მაკას ნანტში წყვილები დარჩა

**საფრანგეთში,** ქალაქ ნანტში, მიმდინარე საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირზე ქართველმა მაკა ჩახნაშვილმა ერთეულებში თამაში მალევე დაასრულა.

ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია. კვალიფიკაციის მეორე წრეში ჩახნაშვილმა ხორვატ დარია იურაკთან დათმო შეხვედრა — 3:6 6:2 2:6.

წყვილთა გათამაშებაში კი მაკას და ფრანგი ჰაკის ტანდემი მასპინძლების — ბენამარისა და ფეუერსტეინის დუეტს გაეჯიბრება.

ნანტის ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი აშშ დოლარია.

**ზურაბ მიგრიაული**

# არჩევნები ვერ გადაიდო
## საკითხი მიუსვლელობით მოგვარდა

**გუშინ** ოლიმპიურ კომიტეტში ალმასკომის წევრთა წინასასესიო შეკრება გაიმართა, რომელსაც 38 დელეგატიდან 30 დაესწრო.

სხდომაზე არ გამოცხადნენ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი გოგი თოფაძე და ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი.

ვიდრე სხდომაზე მომხდარ ამბებზე მოგიყვებით, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატებს შეგახსენებთ: გია ნაცვლიშვილი, ბეჟან ხურციძე, კახა ბასილია, ლევან ახვლედიანი და ლერი ხაბელოვი. ამათგან ერთ-ერთს დელეგატები 31 ოქტომბერს პრეზიდენტად აირჩევენ.

თავში ვთქვით, სხდომაზე გოგი თოფაძე და ლერი ხაბელოვი რომ არ გამოცხადნენ და სწორედ ამის გამო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ამ თავყრილობას ალმასკომის წევრთა წინასასესიო შეკრება უწოდა, რომელზეც სხვებთან ერთად მოახლოებული არჩევნების საორგანიზაციო საკითხებიც განიხილეს.



ლევან ახვლედიანი და დავით ნამგალაური

ჩვენი ინფორმაციით, გოგი თოფაძე და ლერი ხაბელოვი სხდომას რომ დასწრებოდნენ, ერთ-ერთი მათგანი საპრეზიდენტო არჩევნების გადავადების საკითხს დააყენებდა, თუმც მათ გუშინ დილით, სხდომის დაწყებამდე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სხდომაზე არ მივიდოდნენ. მათი პოზიცია ემზარ ზენაიშვილმა გაახმაურა. მისი თქმით, თოფაძემ და ხაბელოვმა სხდომაზე მისვლა იმ მოტივით იუარეს, რომ მეორე მხარესთან დაპირისპირება არ სურდათ. ანუ მათი მისვლის შემთხვევაში არჩევნების გადავადების საკითხი წამოიჭრებოდა. ეს შესაბამისად, დისკუსიას გამოიწვევდა იმ ადამიანებთან, რომელთაც არჩევნების თარიღის გადაწევა არ სურთ...

ემზარ ზენაიშვილმა ისიც თქვა, რომ ის დატოვებს თანამდებობას, რადგან თვლის, რომ ახალი პრეზიდენტი ახალი გუნდით მოვა...

31 ოქტომბერს გასამართი საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატებიდან სხდომას ლევან ახვლედიანი და ბეჟან ხურციძე ესწრებოდნენ. ხურციძემ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კანდიდატები თანაბარ პირობებში არ არიან, გია ნაცვლიშვილი ჟურნალისტებსაც შეხვდა და ფედერაციის პრეზიდენტებთანაც ისაუბრაო.

ისე, საინტერესოა, ვინ დაუშალა იგივეს გაკეთება ხურციძეს?!

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა კი ეს თქვა: „31 ოქტომბერს ჩატარდება არჩევნები და დელეგატები აირჩევენ ისეთ პრეზიდენტს, რომელიც მისაღები იქნება ქართული სპორტული საზოგადოებისთვის. იმედი მაქვს, რომ არჩევნებზე გოგი თოფაძე და ლერი ხაბელოვიც მოვლენ და საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ."

**ლექსო მაისურაძე**



ბესიკ ლაპარტელიანი, ჯანო ბაგრატიონი და ნოდარ ახალკაცი კომიტეტის სესიაზე

---

ხელბურთი

# ტალახაძე ირანს გაისად ნახავს

**საქართველოს** ხელბურთელთა ჩემპიონატის უცვლელი ჩემპიონი სტუ ზაფხულში ძალიან ბევრმა მოთამაშემ დატოვა. მათ უცხოეთს მიაშურეს ბედის საძიებლად. სტუ-დან წასული ხელბურთელებიდან ზოგი შუაგულ ევროპაში წავიდა, ზოგი თურქეთში და ისეთებიც იყვნენ, ირანულ გუნდებს რომ ჩააკითხეს.

ბევრს, ალბათ, ირანის ჩემპიონატის ხსენებაზე გაეღიმება კიდეც, იქაური ხელბურთის ჩემპიონატი რა უნდა იყოსო, მაგრამ ფული თავისას რომ ხშირად აკეთებს, ესეც ხომ ფაქტია. ჰოდა, ირანელებმა ჯიბეზე ხელი გაიკრეს და ლეგიონერებით გაიძლიერეს თავი.

აკაკი ტალახაძე სტუ-დან სწორედ ირანში წავიდა და „აბუმუსლიმში" ჩაირიცხა.

„გუნდში ბევრი ახალი მოთამაშეა, შეთამაშება და შეკვრა აკლიათ და საამსეზონოდ მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის ბრძოლას აპირებენ" — გვითხრა აკაკი ტალახაძემ, თავის სავარაუდო ახალ კლუბზე.

სავარაუდოდ ვთქვით, რადგან, ქართველი ხელბურთელის განაცხადში შეყვანა პირველი წრისთვის ვერ მოესწრო.

ტალახაძე ირანში ივარჯიშებს და იქაურ ჩემპიონატს ალბათ, მომავალი წლიდან დააჭაშნიკებს.

**ლექსო მაისურაძე**



---




**საქართველოს XIX ჩემპიონატი**
2008 წ.

**მ. მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონი**

| | | |
|---|---|---|
| ნახევარფინალი I | 30 ოქტომბერი | 14:30 სთ. |
| ნახევარფინალი II | 30 ოქტომბერი | 16:30 სთ. |
| მცირე ფინალი | 4 ნოემბერი | 15:00 სთ. |
| დიდი ფინალი | 9 ნოემბერი | 16:00 სთ. |

საქართველოს ჩემპიონატის პლეიოფისა და ფინალურ მატჩებზე გამართება
რეგბის აქციის მეგობ[illegible] მხარდამჭერი
საქველმოქმედო აქცია

**ორგანიზატორები:**

საქართველოს რაგბის კავშირი

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი


---

ჭადრაკი



ნანა ძაგნიძემ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე მონაკოური კლუბის (CERCLE D/ECHESS MONTE CARLO) შემადგენლობაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მისი პირადი შედეგი ტურნირზე საუკეთესო იყო. ძაგნიძემ შვიდიდან ხუთი პარტია მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და თავის დაფაზე ოქროს მედალიც მოიპოვა, რითაც მონაკოელთა გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ამჟამად ნანა ბაკურიანშია და საოლიმპიადო შეკრებას გადის საქართველოს ნაკრებთან ერთად. ძაგნიძეს ბაკურიანში გამგზავრებამდე შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...

# ევროპის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე ვარსკვლავებს ეთამაშება

— ევროპის საკლუბო ჩემპიონატი საბერძნეთის ქალაქ კალიფეაში გაიმართა. მე მონაკოს კლუბის სახელით ვითამაშე და საუკეთესო შედეგი ვაჩვენე. შვიდი პარტიიდან ხუთში გავიმარჯვე და ორიც ყაიმით დავასრულე. გადამწყვეტი შეხვედრაც მე მოვიგე, რის შემდეგაც ჩვენი კლუბი ჩემპიონი გახდა.

— რამდენად წარმომადგენლობითი იყო ტურნირი?

— საბერძნეთში პლანეტის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე თამაშობდა. საკლუბო ტურნირები იმითაც არის გამორჩეული, რომ ძირითადად სახელიანი და ძლიერი მოჭადრაკეები იკრიბებიან ხოლმე.

— ამ მომენტისთვის თქვენ საუკეთესო ფორმაში ხართ თუ შეკრებაზე კიდევ მიუმატებთ?

— შედეგებიდან გამომდინარე, ნამდვილად კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რაღაც ხარვეზების გამოსასწორებლად ბაკურიანის შეკრება წამადგება.

— დრეზდენში გესამართ ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრების მაქსიმუმი რა იქნება?

— პროგნოზების გაკეთება გამიჭირდება. პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ ჩვენი ნაკრებისთვის. ვფიქრობ, მედლებისთვის ბრძოლა შეგვიძლია.

**ზურაბ მიგრიაული**

კვარციტი QUARTZITE

# საფრანგეთში ქართველები ერთმანეთს დაერივნენ

## ნაკრებს და ლეგიონს ურჯუკაშვილი დაუბრუნდა

**გასულ** უქმეებზე, საფრანგეთის ჩემპიონატის წლევანდელ სეზონში, პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „ორიაკის" უკანახაზელმა მალხაზ ურჯუკაშვილმა. მან მე-7 ტურში, „ბრენის" წინააღმდეგ 31 წუთი ირაგბა და ხუთი ქულა შემატა კლუბს. თამაში „ორიაკმა" მოიგო — 20:11. გამარჯვებული გუნდის განაცხადში არ ყოფილა ლევან დათუნაშვილი.

გოდერძი შველიძის, გიორგი მჭედლიშვილისა და ბექა შეყლაშვილის „მონტობანმა" დავით ზირაქაშვილს „კლერმონი" წააქცია. „მონტობანმა" „კლერმონი" შინ მიიღო. მჭედლიშვილი და შეყლაშვილი განაცხადში არ ყოფილან, სამაგიეროდ, შველიძე ამაგრებდა 48 წუთი „მონტობანის" შერკინებას. მატჩი 30:25 დამთავრდა. „კლერმონის" რიგებში არ უთამაშია დავით ზირაქაშვილსაც.

აქვსენტი გიორგაძის „კასტრმა" გასვლაზე მოუგო დავით ქუბრიაშვილისა და გია ლაბაძის „ტულონს" — 17:21. ქართველებიდან მატჩში მხოლოდ ქუბრიაშვილი გამოჩნდა. მან 49 წუთი გაატარა მოედანზე და როგორც კი შეცვალეს, მისი გუნდის საქმე შავად წავიდა:

დავით ხინჩაგაშვილის „ბრივი" სტუმრად დამარცხდა „ბაიონთან" — 9:14. ხინჩაგაშვილმა სრულად ითამაშა მატჩი.

დასანანად წააგო „ბურგუენთან" ქართველი დევკაცის მამუკა გორგოძის „მონპელიემ" — 12:19. გორგოძე თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო, მაგრამ ჩვეულად აგრესიულად, აქტიურად და შედეგიანად ვერ გაისარჯა.

ირაკლი გიორგაძის „დაქსი" კი ვარსკვლავურ „პერპინიანთან" გასვლაზე დამარცხდა — 6:17. გიორგაძე განაცხადში არ ყოფილა.

გიორგი კუთარიშვილის „ნარბონმა" სახლში ანტონ ფეიქრიშვილისა და ირაკლი მაჩხანელის „აჟენი" დაჯაბნა. მასპინძლებმა 25:22 მოიგეს. სრულად ითამაშა კუთარაშვილმა. ფეიქრიშვილი 58-ე წუთზე გამოცვალეს. მაჩხანელი განაცხადში არ ყოფილა.

გიორგი ჩხაიძის „მეტრო რასინგი", რომელიც PRO D2-ის ლიდერი გახლავთ, ბოლო წამებზე დამარცხდა „პოსთან". შეხვედრა 16:15 დამთავრდა. „პოს" გატანილ ლელოს უმალ მსაჯის სასტვენი მოჰყვა. მასპინძლებმა გარდასახვაც გამოიყენეს. გიორგი ჩხაიძემ მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 66-ე წუთზე შეცვალეს.

დავით აშვეთიას „ოინიქსი" გასვლაზე „ბეზიესთან" გამოვიდა გამარჯვებული — 30:9. აშვეთიამ შეხვედრის ბოლო წუთზე გადაინაცვლა სათადარიგოებში.

ავთო კოპალიანის „კოლომიემ" „ოშს" მოუგო — 24:15. ჩვენებური განაცხადში არ ყოფილა. „ლიონის" განაცხადში ვერ მოხვდა გურამ კავთიძეც. „ლიონმა" „ლა როშელთან" წააგო — 18:23.

**ზურაბ მიგრიაული**



ბადრი ქათილაშვილის ფოტო



გოდერძი შველიძე

ბადრი ქათილაშვილის ფოტო



მალხაზ ურჯუკაშვილი

# რაგბის ფესტივალი ზესტაფონში

**25 ოქტომბერს** ზესტაფონში ყოფილი მორაგბის ნოდარ გეგეშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ფესტივალი ჩატარდა 1996-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

ფესტივალში რვა გუნდი მონაწილეობდა: ქუთაისის რაგბის სპეციალიზებული სკოლის ოთხი გუნდი, ზესტაფონის სპორტსკოლის, ვანის, ჭიათურისა და ფოთის გუნდები.

ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ, დასავლეთ საქართველოში რაგბის კავშირის კოორდინატორი ვეტერანი მორაგბე სოსო ღიაკონიძე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახური და ბავშვთა სპორტული სკოლა.

**ბეჟან ჩხეიძე** *ზესტაფონიდან*



# კოკაის და ტოჩინოშინის უკეთესი ბანძუკე

**ორ** კვირაში იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში დაიწყება 2008 წლის სუმოს ბოლო დიდი ტურნირი, რომელშიც ისევ მიიღებს მონაწილეობას ორი ლევანი — ცაგურია და გორგაძე.

„სუმოს მამები" შეჯიბრების დაწყებამდე ორი კვირით ადრე აქვეყნებენ განახლებულ რეიტინგ „ბანძუკეს".

ასე მოხდა ამჯერადაც, ფუკუოკას ბაშომდე ზუსტად ამდენი დრო დარჩენილი და იაპონიაში განახლებული რეიტინგი გამოქვეყნდა. მასში ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ფაქტია.

როგორც მოსალოდნელი იყო, დაწინაურება მოახერხა ორივე ქართველმა რიკიშმა — ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე) და კოკაიმ (ლევან ცაგურია). კოკაი ამ დადებითმა ბალანსმა გადაარჩინა მაკუუჩი დივიზიონიდან გავარდნას, რასთანაც ძალიან ახლო იყო. ცაგურია მეთექვსმეტე, ანუ ბოლო მაეგაშირა გახლდათ, ახლა კი უკვე აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირამდე დაწინაურდა.

მოსალოდნელზე უფრო მეტად დაწინაურდა ლევან გორგაძეც. ტოჩინოშინი წინა მონაცემებით მეათე მაეგაშირა იყო და ვფიქრობდით, რომ დაახლოებით მეექვსე-მეშვიდე მაეგაშირა გახდებოდა, მაგრამ როდესაც რეიტინგს ჩავხედეთ, აღმოვაჩინეთ, რომ დასავლეთის მეოთხე მაეგაშირა გამხდარა. ეს ტოჩინოშინისთვის ჯერჯერობით კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი გახლავთ.

გორგაძე ორი კვირის წინ, 13 ოქტომბერს გახდა 21 წლის, მაკუუჩი დივიზიონში სულ სამი ტურნირი აქვს ჩატარებული. ორჯერ დადებით ბალანსით დაასრულა შეჯიბრება და უკვე საკმაოდ წინ წავიდა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სუმოს ექსპერტები მას ტყუილად არ უწინასწარმეტყველებდნენ უკეთეს მომავალს.

ახლა მთავარია, გორგაძემ ასეთივე კარგი გამოსვლა გააგრძელოს და ფუკუოკის ბაშოზეც დადებითი ბალანსი მიიღოს, რათა წინსვლა განაგრძოს.

რაც შეეხება მაკუუჩი დივიზიონის რეიტინგში უმაღლეს ადგილებს, აქ სერიოზული ცვლილებები არ არის, იოკოძუნები და ოძეკები ისევ ისინი არიან, რომლებიც სექტემბრის ბაშოზე იყვნენ.

**გიორგი არაბული**

| აღმოსავლეთი | წოდება | დასავლეთი |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასაშორიუ |
| კოტომიცუკი | ოძეკი | კაიო |
| ჩიოტაიკაი | ოძეკი | კოტოოშუ |
| ამა | სეკივაკე | ბარუტო |
| გოეიდო | კომისუბი | ამინიში |
| ტოიონოშიმა | მაეგაშირა I | ფუტენო |
| ტოიოჰიბიკი | მაეგაშირა II | ვაკანოსატო |
| კოტოშოგიკუ | მაეგაშირა II | ჰოკუტორიკი |
| კისენოსატო | მაეგაშირა IV | **ტოჩინოშინი** |
| ასასეკირიუ | მაეგაშირა V | დეჯიმა |
| კაკურიუ | მაეგაშირა VI | კიოკუტენო |
| მიაბიამა | მაეგაშირა VII | ტოჩინონადა |
| ტაკეკაძე | მაეგაშირა VIII | კაკიძოე |
| ტოჩიოძანი | მაეგაშირა IX | ტოკიტენკუ |
| ბუშუიამა | მაეგაშირა X | არანი |
| **კოკაი** | მაეგაშირა XI | კორიუ |
| იოშიკაძე | მაეგაშირა XII | კასუგანიშიკი |
| მასაცუკასა | მაეგაშირა XIII | ტამანოშიმა |
| ტაკამისაკარე | მაეგაშირა XIV | კიტატაიკი |
| კიმურაიამა | მაეგაშირა XV | ჰომაშო |
| ტოსანოუმი | მაეგაშირა XVI | ჩიოჰაკუჰო |



ტოჩინოშინი



კოკაი



კატრინ ცეტელი



დანიელ ალბრეხტი

# თეთრი ცირკი, ცოლდენი, ცეტელი და ალბრეხტი

**გასულ** უქმეებზე ავსტრიულ ცოლდენში დაიწყო და გაისად, მარტის შუა რიცხვებში შვედურ არეში დასრულდება მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის 2008-09 წლების გათამაშება.

„თეთრ ცირკად“ წოდებული შეჯიბრი ორმოცდამესამედ გაზურდა და ამ სეზონში ის 73 ეტაპს მოიცავს. აქედან 38 ეტაპი კაცებისაა, ხოლო 35 ქალების.

ცოლდენის შემდეგ, ნოემბრის შუა რიცხვებში, სამთო-მოთხილამურეები ფინურ ლევიში ჩავლენ, იქიდან კი ჩრდილოეთ ამერიკისკენ აიღებენ გეზს, სადაც კანადურ ლეიკ ლუისში და ამერიკულ ასპენსა და ბევერ კრიკში ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის პირველ რიცხვებში, ერთბაშად 11 სტარტია დაგეგმილი.

შემდეგ „თეთრი ცირკი“ ევროპაში დაბრუნდება და ახალი წლის დადგომამდე ფრანგულ ვალდიზერს, ესპანურ ლა მოლინას, იტალიურ ვალ გარდენას, შვეიცარიულ სენტ მორიცს, იტალიურ ალტა ბადიას, ავსტრიულ ზემერინგსა და კიდევ ერთ იტალიურ სამთო კურორტ ბორმიოს ესტუმრება. ნაახალწლევს მოთხილამურეები ხორვატიული ზაგრებიდან დაიწყებენ და იანვრის ბოლომდე შვეიცარიულ ადელბოდენს, სლოვენიურ მარიბორს, შვეიცარიულ ვენგენს, ავსტრიულ ალტენმარკ-ზაუხენზეეს და კიცბუელს, იტალიურ კორტინა დამპეცოს, ავსტრიულ შლადმინგს და გერმანულ გარმიშ პარტენკირხენს მოივლიან.

მერე მსოფლიოს ჩემპიონატის გამო თასის კალენდარში მცირე შესვენებაა და თებერვლის ბოლოსკენ კი „თეთრ ცირკს“ იტალიური ტრევიზო და სესტრიერე, სლოვენიური კრანსკა გორა და ბულგარული ბანსკო უმასპინძლებენ. მარტში კი, სანამ არეში დასკვნით ეტაპზე ჩავიდოდნენ, მოთხილამურეები გერმანულ ოფტერშვანგსა და ნორვეგიულ კვიტფიულსაც ეწვევიან.

აი, ასეთი არის „თეთრი ცირკის“ 2008-09 წლების მარშრუტი, ოღონდაც ვერავინ იტყვის, რომ ამ მარშრუტში ცვლილებები არ იქნება, რადგანაც მთის თხილამურობა დიდწილად ამინდზეა დამოკიდებული და დიდთოვლობამ თუ უთოვლობამ თუ ქარიანობამ, წინასწარ შედგენილ განრიგში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლება შეიტანოს.

ახლა კი ცოლდენში გამართული ეტაპის შესახებ. წლევანდელი სეზონი გიგანტური სლალომით და ავსტრიელი კატრინ ცეტელისა და შვეიცარიელი დანიელ ალბრეხტის გამარჯვებებით გაიხსნა.

ცეტელი პირველი დაშვების შემდეგ 0,15 წამს კი აგებდა ფინელ ტანია პოუტიაინენთან, მაგრამ მეორე ცდაზე ავსტრიელი შეუდარებელი იყო და მან ალალად იზეიმა კარიერაში მესამე სათასო გამარჯვება. პოუტიაინენი მეორე ადგილს დასჯერდა, მესამეზე კი კიდევ ერთი მასპინძელი ანდრეა ფიშბახერი გავიდა.

მეორე დღეს კაცების შეჯიბრი იყო, რომელიც შვეიცარიელთა დუბლით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ცეტელის დარად, 25 წლის დანიელ ალბრეხტმაც მესამედ იმარჯვა მსოფლიო თასის ეტაპებზე და თავის თანამემამულეს დიდიე კუშს წამის თოთხმეტი მეასედით აჯობა. მესამეზე ამ სახეობაში მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი, ამერიკელი ტედ ლიგეტი გავიდა, რომელმაც სულ მცირედით, წამის ხუთი მეასედით აჯობა ავსტრიელთა ფავორიტ ბენჯამინ რაიხს.

| მსოფლიოს თასი. ცოლდენი. ავსტრია. 25-26 ოქტომბერი | |
|---|---|
| **კაცები. გიგანტური სლალომი** | |
| 1. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 2 წთ 15,78 წმ (1.07,30+1.08,48) |
| 2. დიდიე კუში (შვეიცარია) | 2.15,92(1.07,56+1.08,36) |
| 3. ტედ ლიგეტი (აშშ) | 2.17,03(1.07,57+1.09,46) |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.17,08(1.07,42+1.09,66) |
| 5. ტომას ფანარა (საფრანგეთი) | 2.17,22(1.08,30+1.08,92) |
| **ქალები. გიგანტური სლალომი** | |
| 1. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 2 წთ 22,99 წმ (1.09,98+1.13,01) |
| 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.23,97(1.09,83+1.14,14) |
| 3. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) | 2.24,47(1.10,71+1.13,76) |
| 4. დენიზ კარბონი (იტალია) | 2.24,50(1.10,47+1.14,03) |
| 5. ლარა გუტი (შვეიცარია) | 2.24,53(1.10,65+1.13,88) |



# ვინც გახსნა, იმანვე დახურა

## სტოუნერმა დაიწყო და დაამთავრა

**კვირას** გამართული ვალენსიის დიდი პრიზით დასრულდა საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატი.

„სამეფო“, ანუ მოტოჯიპის კლასში სეზონი მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონის, ავსტრალიელი კეისი სტოუნერის გამარჯვებით დაიხურა. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ჩემპიონატის პირველი ეტაპიც ესპანეთში გაიმართა, ოღონდაც მას ესპანეთის დიდი პრიზი ერქვა და მაშინაც სტოუნერმა იმარჯვა, ანუ ეს სეზონი, სწორედ ავსტრალიელმა გახსნა და დახურა, მაგრამ მიუხედავად ამისა და შუა სეზონში მოპოვებული კიდევ ოთხი გამარჯვებისა, შარშანდელი ტიტული მაინც ვერ შეინარჩუნა, რადგანაც ეს წელი მოტორბოლის იტალიელი „დოქტორის“, ვალენტინო როსისა იყო. სეზონის 18 რბოლიდან როსიმ ცხრა მოიგო, ხუთჯერ მეორემ, ორჯერ კი მესამემ უწია ფინიშს და პირველობა ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ეტაპით ადრე გაინაღდა.

„სამეფო“ კლასში „დოქტორი“, უკვე ექვსგზის ჩემპიონია, ხოლო ყველა კლასის ჩათვლით მას რვა ტიტული აქვს და ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

ვალენსიაში როსი მესამე იყო სტოუნერისა და ესპანელი დანიელ პედროსას შემდეგ. გენერალური კლასიფიკაციის თავშიც ეს სამეულია, ოღონდაც სხვა თანამიმდევრობით — როსი, სტოუნერი, პედროსა.

„საშუალო“, 250 კუბური სანტიმეტრი ძრავების მქონე მოტოების კლასში ვალენსიის დიდი პრიზი იტალიელმა მარკო სიმონჩელიმ მოიგო და დაამტკიცა, რომ ღირსეული ჩემპიონია. სიმონჩელის კარგახანს მისდევდა ფინელი მიკა კალიო, მაგრამ ეს უკანასკნელი ბოლოსკენ დაეცა და შედეგად, მეორე და მესამე ადგილებზე იაპონელი იუკი ტაკაჰაში და ესპანელი ალვარო ბაუტისტა გავიდნენ.

რაც შეეხება „უმცროს“, ანუ 125-იანთა კლასს, აქ ვალენსიური რბოლა იტალიელმა სიმონე კორსიმ მოიგო და ამ გამარჯვებით საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე ავიდა, გადაასწრო რა შარშანდელ ჩემპიონს, უნგრელ გაბორ ტალმაშის. მეორე ესპანელი ნიკოლას ტეროლი იყო, მესამეზე კი ფრანგი მიშელ დი მელიო გავიდა, ვინც როსისა არ იყოს, ჩემპიონატის დასრულებამდე კარგახნით ადრე გაინაღდა პირველობა.

**ჰაკა ლომაძე**




კეისი სტოუნერი

| მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში. ზოლი, მე-18 ეტაპი. ვალენსიის დიდი პრიზი. ვალენსია. ესპანეთი. 26 ოქტომბერი | |
|---|---|
| **მოტო GP (30 წრე)** | |
| 1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) | 46 წთ 46,114 წმ |
| 2. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“) | 46.49,504 |
| 3. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“) | 46.58,308 |
| 4. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა“) | 47.10,273 |
| 5. მიკი ჰეიდენი (აშშ, „ჰონდა“) | 47.12,346 |
| საბოლოო მდგომარეობა: 1. როსი 372 ქულა; 2. სტოუნერი 280; 3. პედროსა 249; 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) 190; 5. დოვიზიოსო 174 | |
| **250 კბ/სმ (27 წრე)** | |
| 1. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“) | 43 წთ 29,003 წმ |
| 2. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა“) | 43.34,167 |
| 3. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია“) | 43.37,651 |
| 4. რობერტო ლოკატელი (იტალია, „გილერა“) | 43.44,608 |
| 5. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) | 43.49,994 |
| საბოლოო მდგომარეობა: 1. სიმონჩელი 281 ქულა; 2. ბაუტისტა 244; 3. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) 196; 4. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“) 176; 5. ტაკაჰაში 167 | |
| **125 კბ/სმ (24 წრე)** | |
| 1. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“) | 40 წთ 45,715 წმ |
| 2. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“) | 40.45,821 |
| 3. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი“) | 40.45,938 |
| 4. ბრედლი სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია“) | 40.46,491 |
| 5. სანდრო კორტესე (გერმანია, „აპრილია“) | 40.47,048 |
| საბოლოო მდგომარეობა: 1. დი მელიო 264 ქულა; 2. კორსი 224; 3. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია“) 206; 4. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“) 187; 5. ტეროლი 176 | |



# შშანსო ჰრამნიკი

**„ჩემს** შანსებზე ლაპარაკიც უკვე მაზოხიზმს ედარება და ამიტომაც ამ შანსებზე აღარც ვფიქრობ. ყველაფერი გასაგებია, რადგანაც ამ მატჩისთვის მე სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდი. ამიტომაც ერთი პარტიის იქით აღარ ვიყურები და უბრალოდ, ვცდილობ, ისე ვითამაშო, როგორც შემიძლია. რაღაც დრო ჯერ კიდევ მაქვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამი პარტია წავაგე, ოპტიმისტი ნამდვილად ვერ ვიქნები. ამ წუთისთვის ჩემი ამოცანაა, არ ვიფიქრო საბოლოო შედეგზე და მშვიდად მოვემზადო ყოველი კონკრეტული პარტიისთვის“ — ეს რუსი მოჭადრაკის ვლადიმირ კრამნიკის სიტყვებია, რომლებიც მან ინდოელ ვიშვანათან ანანდთან მეშვიდე პარტიის შემდეგ ბრძანა. ამ დროისთვის რუსი 2:5-ს აგებდა და მას შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა.

კი, კრამნიკმა თითქოს შეძლო უკეთ ათამაშება, მაგრამ ეს უკეთ, ამ შემთხვევაში საკმარისი ნამდვილად არ არის და მხოლოდ ყაიმებს ჰყოფნის. მე-8 პარტიაშიც, რომელშიც დიდოსტატებმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს (თეთრებით კრამნიკი იყო) და მეცხრეშიც, როდესაც სლავური დაცვის მწვავე ვარიანტი, ანტიმოსკოვური გამბიტი გათამაშდა, რუსს თითქოს უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ანანდმა მეტოქეს ამ უპირატესობის რეალიზება არ დაანება და ორივე შემთხვევაში სასურველ ყაიმს მიაღწია.

შედეგად, ცხრა პარტიის შემდეგ ანგარიში 6:3 გახდა ინდოელის სასარგებლოდ და შარშან, მექსიკაში გამართულ ტურნირზე მოპოვებული ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად, ვიშის დარჩენილ სამ პარტიაში ნახევარი ქულა, ანუ ერთი ყაიმი ჰყოფნის.

თავად ანანდი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულია მეტოქის სუსტი თამაშით. „მე ვერ გეტყვით, თუ რა არის კრამნიკის ასეთი თამაშის მიზეზი — განაცხადა ინდოელმა — ამის ანალიზი ჩემი საქმე არ გახლავთ, თუმცა, სიმართლეს თუ ვიტყვი, რეალური ახსნა იმის, თუ რა ემართება კრამნიკს, ნამდვილად არ მაქვს. აშკარად ეტყობა, რომ პარტიების ბოლოს ის იღლება და მე ამით ვსარგებლობ“.

# სარეიტინგო ადი-ჩადი

ლადო ჩიხლაძეს ტრავმების გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, რაც რეიტინგშიც აისახა — მეორე ასეულიდან მეცამეტეში დაქვეითდა. და აი, ხანგრძლივი ვარდნის შემდეგ ლადომ ერთბაშად 68 პოზიცია მოიგო. რა თქმა უნდა, რეიტინგის 1150-ე საფეხური ის ადგილი არ არის, რაც ქართველ ჩოგბურთელს დააკმაყოფილებს, მაგრამ ძველი პოზიციების დასაბრუნებლად საფუძველი ჩაყრილია და იმედია, მომავალი სეზონი ჩიხლაძისთვის გაცილებით წარმატებული იქნება.


ლადო ჩიხლაძე

ორშაბათს გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგებში კი კვლავაც 17 ჩვენებურია — 7 კაცი და 10 ქალი. კაცებში ჩიხლაძის წინსვლის გარდა სხვა აღსანიშნავი არაფერი მომხდარა, აი, ქალებში კი ორი ქართველი კარიერის უმაღლეს საფეხურზეა — ოქსანა კალაშნიკოვა, რომელმაც კიდევ ექვსი პოზიციით მაღლა, 383-ე ადგილზე აინაცვლა და 649-ე საფეხურზე ასული სოფო ქვაცაბაია.

| კაცები | |
|---|---|
| 542 (-2) ირაკლი ლაბაძე | 48 |
| 945 (0) ლაზარე კუხალაშვილი | 11 |
| 1150 (+68) ლადო ჩიხლაძე | 5 |
| 1250 (+3) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1316 (-1) ნიკოლოზ ბასილაშვილი | 3 |
| 1571 (+9) ბექა ბუჩუკური | 1 |
| 1669 (-1) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |
| **ქალები** | |
| 166 (-2) ანა ტატიშვილი | 191 |
| 222 (0) მაკა ჩახნაშვილი | 127 |
| 250 (+4) სოფო შაფათავა | 107 |
| 383 (+6) ოქსანა კალაშნიკოვა | 57 |
| 649 (+12) სოფო ქვაცაბაია | 20 |
| 675 (-6) თინა ყაველაშვილი | 18 |
| 679 (-8) მანანა შაფაქიძე | 18 |
| 7122 (-7) ეკა გორგოძე | 16 |
| 748 (-3) სალომე დევიძე | 14 |
| 906 (-4) სოფო მელიქიშვილი | 8 |

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 7100 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5805 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4575 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 3420 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2315 |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2265 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 2045 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1875 |
| 9. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1820 |
| 10. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1740 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1625 |
| 12. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1580 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1525 |
| 14. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1485 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1485 |
| 16. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 1408 |
| 17. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1345 |
| 18. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 1290 |
| 19. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1285 |
| 20. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1260 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1310 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1016 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 914 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 659 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 418 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 369 |
| 7. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 354 |
| 8. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 341 |
| 9. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 338 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 310 |
| 11. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 301 |
| 12. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 290 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 284 |
| 14. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 275 |
| 15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 268 |
| 16. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 264 |
| 17. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 258 |
| 18. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 246 |
| 19. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 242 |
| 20-21. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 232 |
| 20-21. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 232 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4555 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3752 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3716 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3687 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3399 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3040 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2726 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2497 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2141 |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1767 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1697 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1678 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 1670 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1590 |
| 16. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1520 |
| 17. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1494 |
| 18. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1492 |
| 19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1376 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1337 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4786 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3823 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3681 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3400 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3353 |
| 6. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2626 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2623 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 9. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2256 |
| 11. ფლავია პენეტა (იტალია) | 1814 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1774 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1756 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1596 |
| 15. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1499 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1497 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1487 |
| 18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1447 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1410 |
| 20. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1370 |

# ქალებმა რვეული შეავსეს

დასასრულს მიუახლოვდა მორიგი საჩოგბურთო სეზონი — ეს კვირაც და მეჩოგნეთა აბსოლუტური უმრავლესობა რამდენიმეკვირიან დასვენებას გამოიწერს და მსოფლიოს სხვადასხვა პლაჟებს თუ სამთო კურორტებს მიაშურებს. სათამაშო კი მხოლოდ რჩეულებსღა ექნებათ, რომლებიც ნოემბრის დასაწყისში სეზონის ბოლო დიდ ტურნირებს ერთმანეთში გაითამაშებენ.

ქალებით დავიწყოთ, სადაც გუშინ საბოლოოდ გაირკვა ყველაფერი და იმ რვა ჩოგბურთელის ვინაობა გაცხადდა, რომლებიც 4-9 ნოემბერს დოჰაში წლის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშებენ, რომელსაც სარეკორდო, 4,45 მილიონ დოლარიან საპრიზო ფონდი აქვს.

მოგეხსენებათ, რომ დოჰაში თამაშის უფლება კარგა ხანია გაინაღდეს ელენა იანკოვიჩმა, ანა ივანოვიჩმა, სერენა უილიამსმა, დინარა საფინამ და ელენა დემენტიევამ. ათიოდ დღის წინ ამ ხუთეულს სვეტლანა კუზნეცოვაც შეუერთდა, ხოლო მარია შარაპოვას ტრავმის გამო სეზონის ნაადრევად დასრულება მოუწია. დარჩენილი ორი ადგილისთვის სამი მეჩოგნელა აცხადებდა პრეტენზიას, თუმც, უნდა ითქვას, რომ აგნეშკა რადვანსკას მხოლოდ თეორიული შანსებიღა თუ ჰქონდა. ჰოდა, არავის გაჰკვირვებია, რომ პოლონელმა მიზანს ვერ უწია.

აგნეშკამ ავსტრიულ ლინცში ნახევარფინალში წააგო და ამით დოჰასკენ გზა დაულოცა ვინუს უილიამსსა (მესამედ ითამაშებს წლის შემაჯამებელ ტურნირზე) და ვერა ზვონარიოვას (მეორედ ითამაშებს).

ყოველივე ამის ფონზე თითქმის ყოველგვარ აზრს კარგავს ამ კვირას კვებეკში გასამართი ტურნირი. რაკი მალე აზიაში მოუწევთ გამგზავრება, წარმოუდგენელია, რომელიმე ბობოლამ ახლა მოინდომოს ატლანტიკის ოკეანის გადაკვეთა.

ამის საპირისპიროდ უაღრესად საინტერესო უნდა გამოდგეს პარიზის მასტერსი, სადაც უმძაფრესი ბრძოლაა მოსალოდნელი შანხაის მასტერსის თასზე თამაშის უფლების მოპოვებისთვის. დღეისთვის კიდევ სამი ადგილია თავისუფალი, რომელზეც პრეტენზიას ერთაბაშად 10 მეჩოგნე აცხადებს.

სანამ შანხაიში მოხვედრის პრეტენდენტთა შანსებზე ვისაუბრებდეთ, ურიგო არ იქნება იმ ხუთი იღბლიანის ვინაობა ჩამოვთვალოთ, ვინც უკვე გაინაღდა ჩინეთში წასვლა. ესენი არიან — რაფაელ ნადალი, როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ენდი მიურეი და ნიკოლაი დავიდენკო.

პრეტენდენტებიდან საუკეთესო მდგომარეობაში ენდი როდიკი და ხუან მარტინ დელ პოტრო არიან. ისინი რეიტინგში მეექვსე-მეშვიდე ადგილებზე იმყოფებიან და თუ პარიზში საწყის წრეებშივე არ წაიბორძიკეს, მიზანს აუცილებლად უნდა უწიონ.

დღეისთვის მერვე ადგილი ჟილ სიმონს უკავია, მაგრამ მას კვალში დავიდ ფერერი და ჯეიმს ბლეიკი უდგანან. ისე, ამ დუეტს ჯერ კიდევ ერთი თვის წინ თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ბოლო ტურნირებში ძალიან უხეიროდ ითამაშეს და ახლა შანხაიში მოსახვედრად წელებზე ფეხების დადგმა მოუწევთ.


ენდი როდიკი

დარჩენილ ჩოგბურთელებს კი უბრალოდ მათემატიკური შანსებიღა შერჩენიათ, მათი ბედი მხოლოდ მათზე აღარ არის დამოკიდებული და ბედმაც უნდა გაუღიმოთ, რომ მიზანს მიაღწიონ. მეორე მხრივ კი, არაფერია გამორიცხული, რადგანაც ასეთი გამართლების პრეცენდენტი შარშან ვიხილეთ, როცა რიშარ გასკე პარიზული მასტერსის წინ მე-13 იყო, მაგრამ მშობლიურ კედლებში ნახევარფინალში გასვლითა და მეტოქეთა წაფორხილებით შანხაიში თამაშის უფლება მოიპოვა.

ვინ იტყვის, რომ წლეულსაც იგივე არ განმეორდება.

**ბაჩა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქანქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge